

თამარ მახარობლიძე

ქართული ჟესტური ენის სახელთა
მორფოლოგია

თბილისი. 2026

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

© თამარ მახაროზიძე

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ISBN ??????????????????????

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

სარჩევი

შესავალი.....	5
ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ.....	7
იკონურობა	14
არსებითი სახელი	21
საზოგადო სახელები	21
კლასის კატეგორიის შესახებ.....	21
საკუთარი სახელები.....	31
გეოგრაფიული სახელები.....	32
აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები	33
კრებითი სახელები	34
ნივთიერებათა სახელები	35
ფლექსია - ბრუნვათა სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში.....	38
ბრუნვათა ფორმების მაგალითები	52
სახელთა დერივაცია	57
ლექსიკის შესახებ.....	88
ლექსიკური დონის შესახებ ჟესტურ ენებში - On the lexical level in sign languages	100
დანიშნულების ჟესტის მორფო-სემანტიკა ქართულ ჟესტურ ენაში (თამარ მახარობლიძე, თამარ არჩვაძე).....	111
არსებითი სახელის აფიქსები - Affixes of nouns in GESL.....	151
ყველაზე მეტად გავრცელებული სახელური აფიქსები ქართულ ჟესტურ ენაში - The most common nominal affixes in Georgian Sign Language (GESL).....	171
ტერმინთა შესახებ.....	173

ზედსართავი სახელი	189
ნაცვალსახელი.....	197
არამანუალური ნაცვალსახელების ფორმები - Non-manual Arguments in Georgian Sign Language (GESL)	
Tamar Makharoblidze & Ekaterine Nanitashvili	203
რიცხვითი სახელი	217
მათემატიკური ნიშნები.....	224
რიცხვითი სახელი ქართულ ჟესტურ ენაში - Numerals in Georgian Sign Language.....	244
ჟესტურ ენებში რიცხვითი სახელის ძირითადი ბიბლიოგრაფია	254
დაქტილური ანბანი	257

შესავალი

ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგიის აღწერისას მე ვწერდი, რომ 'ჟესტურ ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით. უცხოელ მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ ჟესტურ ენებში ძირითადად გვაქვს არა აფიქსური მორფოლოგია, არამედ თანადროული ანუ სინქრონული მოცემულობა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჟესტი თავისი კინეტიკით ერთდროულად გადმოსცემს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას და განსხვავებით სამეტყველო ენებისგან, ის არ მოიცავს თანმიმდევრულ აფიქსებს. თუმცა ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჟესტურ ენებში სინქრონულ მორფოლოგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში ასევე მოცემული გვაქვს რიგი გრამატიკული კატეგორიების აფიქსური წარმოებაც. უკანასკნელ პერიოდში ამ მოსაზრებას გაცილებით ბევრი მომხრე გამოუჩნდა. მკვლევარებმა ასევე შენიშნეს, რომ ჟესტური ენები ახლადწარმოქმნილი კრეოლური ენების ბევრ მახასიათებელს იზიარებდნენ, თუმცა ჟესტური ენები კრეოლური ენებისგან მნიშვნელოვნადაც განსხვავდებოდნენ ერთი თვისებით – კერძოდ, თავისი რთული სინქრონული მორფოლოგიით. ქართული ჟესტური ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი მოცემულობების ენა და ამით ის იმსახურებს მეცნიერთა ინტერესს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში' (მახარობლიძე 2019).

სინქრონული მორფოლოგია ასახულია სახელთა სისტემებშიც, თუმცა აქაც გვაქვს გარკვეული აფიქსები, რომელთა ფუნქციურ-სემანტიკური ველი აშკარად მიუთითებს ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგიის კონკრეტულ ენობრივ კატეგორიებში სემანტიკური მორფოლოგიის სისტემურ ფუნქციონირებაზე.

წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულია ჩემ მიერ სხვადასხვა პროექტებით მოპოვებული ქართული ჟესტური ენის 7 საათიანი ვიდეო მასალა, თავისუფალი ნარატივები. კონკრეტული საკითხების ძიებისას ასევე გამოყენებულია სხვადასხვა სახის ელისიტირებული მასალაც. ენის წყაროები არიან საქართველოს ყრუთა კავშირის წევრები, განსხვავებული ასაკისა და სქესის. მასალა მოპოვებულია ეთიკის საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. ქართული ჟესტური ენის წყაროებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რითაც მათ გადმოცეს ამ მასალების აკადემიური მიზნებისათვის გამოყენების სრული უფლება.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია უჩვენებს რიგ თავისებურებებს, რაც ამ ენას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მკვლევართათვის და ამავდროულად ეს მასალა უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ამ ტიპის უნიკალურ კატეგორიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია ბრუნვათა სისტემა. ამ სისტემის არსებობა ეწინააღმდეგება ჟესტური ენების შესახებ არსებულ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეს ენები უბრუნველი სახელური სისტემების ენებია. ამრიგად, ვფიქრობ, რომ წინამდებარე კვლევა საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ერთი კონკრეტული ბუნებრივი ენის სახელთა მორფოლოგიის კვლევა და ამავდროულად ქართული ჟესტური ენის უნიკალური კატეგორიების წყალობით ეს კვლევა საკმაოდ ღირებული იქნება ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

ქართული ჟესტური ენის ნარმოშობის შესახებ

ქართული ჟესტური ენის ნარმოშობის შესახებ წერილობითი მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ჩატარებული ლინგვისტური კვლევებით დგინდება, რომ ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არსად მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი. ამდენად, ლინგვისტური კვლევების დროს ძირითადად ენის წყაროებს – ყრუ პირების ჟესტურ მეტყველებას ვეყრდნობით. ქართულ ჟესტურ ენასთან დაკავშირებული ისტორიული ან დიაქრონიული მსჯელობა, ცხადია, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ზემოთ მოხსენებული მიზეზების გამო.

ქართული ჟესტური ენის შესახებ ჩემს ნაშრომებში არაერთგზის აღმინიშნავს, რომ ეს ენა განიცდიდა რუსული ჟესტური ენის გავლენას, რადგანაც ყოფილ საბჭოთა კავშირში ყრუთა განათლების სისტემაზე არავინ ზრუნავდა და არც მათი ენები იყო შესწავლილი. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყრუთა თემებისათვის ძირითადი საკომუნიკაციო ენა იყო რუსული ჟესტური ენა, რომელიც, თავის მხრივ, ფრანგული ჟესტური ენიდან ნარმოიშვა. ასევე რუსული ჟესტური ენა განიცდიდა სამეტყველო რუსულის დიდ გავლენას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, სიყრუე არის გენეტიკური მოვლენა და, საბედნიეროდ, არ არის ქართული გენის მახასიათებელი. ზოგადად, ქართული გენი მაღალი აუდიოუნარებით ხასიათდება. ეს არის უნიკალური პოლიფონიური ხმოვანების შემქნელი და ამ დიდი აუდიო უნარების გენეტიკურად მატარებელი ერი. თანამედროვე ქართული ყრუთა თემის წევრების 95-97% არაქართული გენეტიკი-

საა. ხოლო ქართველი ყრუების 98% არის მეორადი¹ და არა გენეტიკური სიყრუის მქონე. ქართულ წერილობით წყაროებში შედარებით ნაკლებადაა მოხსენებული სიტყვები *ყრუ* და *უსმი* ('არა ესმოდეს რა' – საბა), ასევე *მუნჯი*². ეს უკანასკნელი ფორმა დღეს დისკრიმინაციულ ტერმინად ითვლება, რადგანც ყრუები საუბრობენ შესტურად.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული გარემოება დაედო საფუძვლად ჩემს მოსაზრებას, რომ ქართული შესტური ენა ეყრდნობა რუსულ შესტურ ენას. თუმცა ქართული შესტური ენის გრამატიკული წყობის დეტალური ანალიზის შემდეგ მივედი იმ აზრამდე, რომ ქართული შესტური ენა არის ორიგინალური, თავისთავადი ენა, რომელიც განიცდის ორმხრივ ინტენსიურ გავლენას ქართული სამეტყველო ენისა და რუსული შესტური ენის მხრიდან. გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მოხდა რუსი ყრუთა თემის წარმომადგენლების ჩამოსახლება. ზოგადად, საბჭოთა კავშირს ჰქონდა ეკონომიკის შერევის პრინციპი. კერძოდ, ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ საქართველოში შუა აზიიდან შემოჰქონდათ ბამბა, აქედან კი სხვაგან მიჰქონდათ აბრეშუმის რაც ისტორიულად ჩვენი მრეწველობის დარგი იყო. ბამბის დამუშავების მცოდნეები და ტექსტილზე მომუშავე სპეციალისტები კი ქვეყანაში არ გვყავდა. ამიტომ რუსეთიდან ხდებოდა ამ მუშახელის მიგრაცია. მათ შორის განსაკუთრებით ბევრი იყო ყრუ ქალი. რუს მიგრანტ ყრუთა შესტური ენა, ცხადია, უფრო მდიდარი იყო, ვიდრე ადგილობრივი შესტური, ყოველ შემთხვევაში, ლექსიკურ დონეზე. რამდენადაც, ადგილობრივ ყრუებს არ ჰქონდათ საჭიროება მრავალი სხვადასხვა

¹ მეორადი სიყრუე გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, მაგალითად: ანტიბიოტიკების ჭარბი დოზა, სტრესი, გამუდმებული ხმაური ფონად, ინფექციები, ტრამვა და სხვ.

² ქვეყ-ში სიტყვა *ყრუ* გვხვდება სულ 101 – ჯერ, *მუნჯი* – 15-ჯერ, *უსმი* – 7-ჯერ. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქედან ხშირად მეტაფორული ან ეპითეტურია ეს ფორმები, მაგ. 'ვიქმენ მე, ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაი.' (ფსალმუნნი)

ლექსიკური ერთეულების გამოყენების და შესაბამისად, არც არსებობდა ენაში ასეთი ერთეულები. რიცხვობრივადაც ადგილობრივი ყრუთა თემი ძალიან პატარა უნდა ყოფილიყო³. ქართული ჟესტური ენის ლექსიკა საგრძნობლად გაიზარდა რუს მიგრანტთა წყალობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ, საქართველოში არსებობდა დამოუკიდებელი ბუნებრივი ქართული ჟესტური ენა, რომელსაც საკმაოდ შეზღუდული ლექსიკა ჰქონდა, გასაგები მიზეზების გამო. საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში იყო ფერთა ტერმინოლოგია და ამ ენამ არ მიიღო რუსული ჟესტური ლექსიკა ფერთა აღსაწერად. ფაქტია, რომ ყრუთა თემები და მათი ენები ვიზუალური აზროვნების მოცემულობებია და ამრიგად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქ უკვე იყო ფერთა ქართული, ადგილობრივი ჟესტური ტერმინები. სავარაუდოდ, ასევე იყო გრამატიკული სისტემაც. ამის დასტურია ის, რომ ქართულ ჟესტურ ენაში არის რიგი მორფო-სინტაქსური კატეგორიებისა, რაც ფიზიკურად ვერ ჩამოყალიბდებოდა 50-60 წლის მანძილზე. ეს კატეგორიები არ ახასიათებს რუსულ ჟესტურ ენას და ამ ენაში არც სათანადო ტენდენციები იგრძნობა ამ ტიპის კატეგორიების განსავითარებლად. ამრიგად, დედუქციურად ვასკვნით⁴, რომ რადგანაც გრამატიკული დონე არის გაცდილებით უფრო მყარი მოცემულობა, ვიდრე ენის იერარქიის ლექსიკური დონე, ბუნებრივია, რომ ასეთი რთული გრამატიკული კატეგორიები ხუთიოდე ათეული წლის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდებოდა. კაცობრიობის ლინგვისტური გამოცდილება ასეთ ფაქტს ვერ დაადასტურებს. კერძოდ, რა გრამატი-

³ სამწუხაროდ, საქართველოში არ არის სათანადო ისტორიული კვლევები ყრუთა თემის შესახებ.

⁴ დიაქრონიული ლინგვისტური წყაროების არარსებობის გამო, შეგვიძლია მხოლოდ ზოგადი ლინგვისტური დასკვნების გაკეთება.

კული კატეგორიებია წარმოდგენილი ფუნდამენტური სხვაობით ქართულ და რუსულ ჟესტურ ენებში და რა იძლევა იმის საფუძველს, რომ ქართული ჟესტური ენა დამოუკიდებელ ენად მივიჩნიოთ?

ქართულ ჟესტურ ენას ახასიათებს შემდეგი განმასხვავებელი გრამატიკული მოცემულობები:

- მორფემული ელემენტები;
- სიტყვათა თავისუფალი რიგი;
- ბრუნვათა სისტემა განვითარების პროცესში;
- ირიბი ობიექტის მარკერები;
- მოდალობის, დროისა და ნეგაციის უნიკალური ინტერაქცია;
- გრამატიკულად ნულოვანი მიმიკა;
- ონომასტიკა.

ასევე ლექსიკაშიც არის სისტემური ტიპის განსხვავებები:

- ჟესტწარმოების ადგილობრივი მოდელები;
- დერივაციული წარმოების ქართული მოდელი;
- ფერთა სისტემა;
- ადგილობრივი ტოპონიმია;
- ლექსიკურად ნაკლებად აქტიური მიმიკა.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ჟესტური ენის შემდგომი დეტალური კვლევები, დიდი ალბათობით, კიდევ მრავალ განმასხვავებელ ელემენტს გამოავლენს იმის დამადასტურებელს, რომ ეს ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი წარმოშობის ახალგაზრდა ენა და არა რუსული ან საბჭოთა ჟესტური ენის ერთ-ერთი განშტოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aronoff, Mark & Padden, Carol. 2011. Sign language verb agreement and the ontology of morphosyntactic categories, *Theoretical Linguistics* 37–3/4, 143–151 DOI: 10.1515/thli.2011.010

Dryer, Matthew S. 2007. Word order. In *Language typology and syntactic description*. Vol. I: Clause structure (2nd edition), ed. T. Shopen, 61-131, Cambridge: Cambridge University Press

Kimmelman, Vadim. 2018. Basic argument structure in Russian Sign Language. *Glossa: A journal of general linguistics* 3(1): 116. 1–39, DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.494>

Makharoblidze T 2019. On GESL verb. CODFREURCOR «Etudes interdisciplinaires en Sciences humaines» EISH. Vol. 6; Editions Université d'Etat Ilia, Tbilissi, Géorgie. ISBN 1987-8753 pp.50-81

Makharoblidze, Tamar. 2015. Indirect Object Markers in Georgian Sign Language. *Sign Language and Linguistics*, №18(2), John Benjamins Publishing Company, 238-250 DOI: <https://doi.org/10.1075/sll.18.2.03mak>

Padden, C.A. 1988 [1983]. *Interaction of morphology and syntax in American Sign Language* (Outstanding Dissertations in Linguistics, series IV). New York: Garland Press.

Quadros, Ronice Muller de & Lillo-Martin, Diane. 2010. Clause structure. In D. Brentari (ed.), *Sign languages*, 225–251. Cambridge: Cambridge University Press.

Quer, Josep., Cecchetto, Carlo., Donati, Caterina., Geraci, Carlo., Kelepir, Meltem., Pfau, Roland, Steinbach, Markus. 2017. *SignGram Blueprint A Guide to Sign Language Grammar Writing*. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. Retrieved from <https://www.degruyter.com/view/product/467598> on the 3th of July, 2020

მახარობლიძე თ. (2019) ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.

მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.

მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ

(რეზიუმე)

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ დოკუმენტირებული მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არ მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი.

ქართული ჟესტური ენა არის ორიგინალური თავისთავადი ენა, რომელიც განიცდის ორმხრივ ინტენსიურ გავლენას ქართული სამეტყველო ენისა და რუსული ჟესტური ენის მხრიდან. გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მოხდა რუსი ყრუთა თემის წარმომადგენლების ჩამოსახლება. სავარაუდოდ, ამ დროისათვის საქართველოში უკვე არსებობდა დამოუკიდებელი, ბუნებრივი ქართული ჟესტური ენა თავისი გრამატიკული წყობით, რაც დასტურდება ქართულ და რუსულ ჟესტურ ენათა შორის არსებულ სხვაობებში. სტატიაში ჩამოთვლილია ამ ენათა შორის არსებული კონკრეტული ლინგვისტური სისტემური განსხვავებები. ქართული ჟესტური ენის შემდგომი დეტალური კვლევები, დიდი ალბათობით, კიდევ მრავალ განმასხვავებელ ელემენტს გამოავლენს იმის დამადასტურებელს, რომ ეს ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი წარმოშობის ახალგაზრდა ენა და არა რუსული ან საბჭოთა ჟესტური ენის ერთ-ერთი განშტოება.

On origin of GESL

(summary)

Materials or any historical sources on the origin of the Georgian sign language (GESL) are not available. It is a natural language, but sign languages are the languages of oral communication and obviously no textual records are obtained. Neither corpus of this language has yet been created.

GESL is an original language that is under intense influence from two different languages-Georgian spoken language and Russian sign language (RSL). In the 50s of the last century, representatives of the Russian deaf community settled in Georgia. Presumably, for this time, an independent, natural local sign language already existed in Georgia with its grammatical structure. This is confirmed by the deep grammatical differences between the GESL and RSL. The paper lists the specific linguistic systemic differences between these languages. Further detailed studies of the GESL will most likely reveal many more distinguishing elements proving that this language is an independent, young language of natural origin and not a branch of RSL or Soviet sign language.

იკონურობა

ჟესტურ ენებში საკმაოდ ხშირია ისეთი არსებითი სახელები (და ასევე სხვა მეტყველების ნაწილებიც), რომლებიც ასახავენ საგნის (ანუ აღსანიშნის) რამე მახასიათებელ თვისებას ან ნიშანს, ან მასთან დაკავშირებულ მოქმედებას. ეს გარემოება გვიჩვენებს აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებულ დადასტურებულ კავშირს (ანუ აღსანიშნის განპირობებულობას) ჟესტურ ენებში. ამ ტიპის ჟესტებს იკონური ჟესტები ეწოდებათ.

უნდა ითქვას, რომ იკონური ჟესტების არსებობის წყალობით, საკმაოდ მაღალია ურთიერთგაგებინების მაჩვენებელი იმ ყრუ პირთა კომუნიკაციაში, რომელთაც ერთი საერთო ჟესტური ენის ცოდნა არა აქვთ. ამრიგად, ჟესტების იკონურობით აისხნება ის ფაქტი, რომ ორი ყრუ პირი უფრო ადვილად უგებს ერთმანეთს, რასაც ასე კარგად ვერ ახერხებს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ორი მეტყველი ადამიანი.

სხვადასხვა ჟესტურ ენაში სხვადასხვა რაოდენობის იკონური ჟესტები შეიძლება იყოს. ქართულ ჟესტურ ენაში, ლექსიკონის მონაცემებით, იკონურობა არის 75-80% . ზოგადად, რაც უფრო მაღალია ყრუთა თემის განათლების დონე, მით მეტია მეტაფორული და აბსტრაქტული ფორმატის ანუ არაგანპირობებული ჟესტების რაოდენობა მათ ენაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო გარემოებაც, რომ არაპროფესიული აქტივობების ხარჯზე, ქართული ჟესტური ენის ლექსიკის შევსება ძირითადად ხდება მხოლოდ იკონური ფორმებით, რაც საკმაოდ აკნინებს აბსტრაქციის დონეს ამ ენაში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იკონურობა გადმოსცემს აღსანიშნის თვისებას ან ნიშანს. ეს ხშირად შეიძლება ასევე იყოს მისი ფორმა ან ფუნქცია. მაგალითისთვის განვიხილოთ ჟესტი 'ჩაქუჩი':



ჩაქუჩი – ხისტარიანი დასარტყმელი რკინის იარაღი ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს ჟესტი არის ფუნქციის მიხედვით იკონური, რამდენადაც პანტომიმურია ამ საგნით შესრულებული მოქმედება. საგნის ფუნქცია რეალურად არის ამ საგანთან დაკავშირებული მოქმედება. აქ უკვე დგება მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემაც. არსებითი სახელი და ზმნა, შესაძლოა, ერთი და იმავე ჟესტით, ან ძალიან მსგავსი ჟესტებით იყოს წარმოდგენილი. მაგალითისთვის ერთმანეთს შევადაროთ ჟესტები 'კალამი' და 'წერა', 'კითხვა' და 'წიგნი', 'კოვზი' და 'ჭამა', 'ფოტოაპარატი' და 'გადაღება'.



კალამი – საწერი საშუალება

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, კლაკნილი ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



წერა – ასოების გამოყვანა ქაღალდზე ან სხვა საწერ მასალაზე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით,

მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს ორი შესტი წერის სემანტიკის გამომხატველი პანტომიმური შესტებია. შესტურ მეტყველებაში ხშირად პირველი შესტი გამოიყენება მეორის მნიშვნელობითაც, ხოლო გაბმულ შესტურ პროცესში, შესაძლოა, მეორე შესტმა დაკარგოს ორხელიანობა და მხოლოდ დომინანტი ხელით იყოს მოცემული, რითიც უფრო მეტი იქნება მსგავსება ამ შესტებს შორის.



კოვზი – მცირედ ჩაღრმავებული ტარიანი მოგრძო საგანი ფქვილის, სითხის, ფაფისა და წვნიანი საჭმლის ასაღებად

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური შესტი, ქვევით და მარცხნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი ცერზეა შემოხვეული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. შესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.



ჭამა – საკვების მიღება, საჭმლის პირში მოქცევა, ღეჭვა და ყლაპვა

ერთხელიანი, დინამიკური შესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სხეულისკენ მიმართული თითების წვერებს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ტუჩებს. შესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.

ეს ორი ზემოთ მოყვანილი ჟესტი 'კოვზი' და 'ჭამა' ორივე ერთხელანია და სრულდება პირის წინ. ხშირად პირველი ჟესტი მოიცავს მეორის ('ჭამის') მნიშვნელობასაც.



წიგნი – ერთად აკინძული ტექსტის შემცველი ნაბეჭდი ფურცლები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სიქრონული, განმეორებადი, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, მომდევნო ფაზაში ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორმაა, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით და სხეულისკენ, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



(წა)კითხვა – დანერვილი (დაბეჭდილი) ტექსტის გაცნობა

ორხელიანი, დინამიკური, სიმეტრიული ჟესტი, ზევით მიმართულია ნეკებით ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ამ ბოლო წყვილში ('ნიგნი' და 'ნაკითხვა') პირველი ჟესტის პირველი ნაწილი დინამიკის მეორე ფაზაში უკვე გაშლილი სელისგულებით, ანუ ნიგნის იკონური ფორმით სრულიად იმეორებს მეორე ჟესტის ('ნაკითხვა') კონფიგურაციას. აქ განსხვავებულია მხოლოდ მოძრაობა.

როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი იკონური ფორმები მეტნაკლებად იდენტური ჟესტებია და აქ მხოლოდ მცირედი ფონოლოგიური სხვაობა შეგვიძლია შევნიშნოთ რიგ შემთხვევებში. ზოგადად, ბევრ ჟესტურ ენაში იდენტურია ფორმები ისეთი იკონური ჟესტებისთვის როგორებიცაა 'დარეკვა' და 'ტელეფონი', 'ფოტო' და 'ფოტოგრაფირება', 'კალამი' და 'წერა' და სხვა ამ ტიპის სემანტიკურ ურთიერთმიმართებაში მყოფი სიტყვა-ჟესტები.

აღსანიშნავია, რომ იკონურობის საკითხი უკავშირდება კლასის კატეგორიის თემას. მაგალითად, ადამიანი დადის ორი ფეხით, ხოლო ცხოველი – ოთხით. აქედან გამომდინარე, თუ ვიტყვით 'ის მოვიდა' აქ გვექნება სრულიად განსხვავებული ჟესტები ზმნისთვის, იმის მიხედვით ადამიანზეა საუბარი თუ ოთხფეხზე, თუ მანქანაზე. ეს გარემოებაც იკონურობის მოვლენას უკავშირდება.

მე შევიმუშავე ფორმულა, რითიც შეგვიძლია გამოვთვალოთ იკონურობის მაჩვენებელი ჟესტურ ტექსტებში.

$$N = \frac{IS}{T}$$

N - იკონურობის კოეფიციენტი

T - ტექტის ხანგრძლივობა ანუ ტექსტის ზომა

IS - იკონური ფორმების რაოდენობა მოცემულ ტექტში.

იკონურობის კოეფიციენტი უდრის იკონური ფორმების რაოდენობა მოცემულ ტექსტში შეფარდებული ამ ტექსტის ხანგრძლივობაზე.

ICONICITY

In sign languages, there are the signs reflecting some characteristic features of the semantics of a given part of speech (mostly nouns or verbs). This circumstance shows the proven connection between the sign and the signifier in sign languages. These types of signs are called iconic. They are easy to recognize, and thanks to these iconic signs, the rate of mutual understanding in the communication of Deaf and hard of hearing people who do not have knowledge of a common sign language is quite high. Thus, the iconicity of signs reflects the fact that two deaf people can understand each other more easily than two speaking people if they do not have the knowledge of a common spoken language for communication.

Different sign languages can have different number of iconic signs. In Georgian sign language (GESL), according to the GESL dictionary, iconicity is 75-80%. In general, the higher the level of education of the Deaf community, the more metaphorical and abstract gestures are used. It should also be noted that due to non-professional activities, unfortunately, in the last period the vocabulary of GESL is filled mainly with iconic forms.

I have developed a formula by which we can calculate the iconicity rate in sign texts (signing communication):

$$N = \frac{IS}{T}$$

N mean a coefficient of iconicity, T is the duration of the sign text, IS - is the number of iconic forms in the given signing text. Iconicity coefficient is equal to the number of iconic forms in a given text divided by the duration of this text.

გამოყენებული ლიტერატურა:

მახარობლიძე თამარ (2016) ქართული ფესტური ენის დოკუმენტირების შესახებ. „ენა და კულტურა“ №15. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. ქუთაისი. გვ.79-85

მახარობლიძე თამარ (2015) ქართული ფესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ

მახარობლიძე თამარ (2012) ქართული ფესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.

მახარობლიძე თამარ (2015) ქართული ფესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144

მახარობლიძე თამარ (2014) ქართული ფესტური ენის დოკუმენტირების პროცესი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში -2“. **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014**

მახარობლიძე თამარ (2014) ქართული დაქტილური ანბანი. იკე, ტ. 42. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2014

Demey, E. & van der Kooij, E. (2008). Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. *Lingua*, 118, 1109–1138.

Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.

Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.

Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.

Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.

არსებითი სახელი

ფესტურ ენებში მუშაობს იგივე ლინგვისტური ლოგიკა, რაც სამეტყველო ენებში და აქაც გვაქვს იგივე იერარქიული დონეები და იგივე მორფო-სემანტიკური კატეგორიები. აქედან გამომდინარე, არსებითი სახელის დეფინიციაც და მისი ძირითადი ლექსიკური ჯგუფებიც შესაბამისად იმეორებს სამეტყველო ენების მოცემულობას.

საზოგადო სახელები

ეს არის ისეთი ზოგადი ენობრივი მოცემულობა, რაც უცვლელად მეორდება ორივე მოდალობის (სამეტყველო და ფესტურ) მსოფლიო ენებში. ამრიგად, აქ მხოლოდ კლასის კატეგორიაა განმასხვავებელი. ქართულ ფესტურ ენაში ეს კატეგორია მკვეთრად არის გამოსახული. ადამიანის კლასის საგნების ნაწილს აქვთ მანარმოებელი ნიშანი. ეს ნიშანი განსაკუთრებით ხშირია ხელობის ან პროფესიის აღმნიშვნელ საგნებთან.

კლასის კატეგორიის შესახებ

კლასის კატეგორია ფესტურ ენებში მკვეთრად გამოხატული მოცემულობაა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ კატეგორიის გრამატიკული დატვირთვა ზმნურ აქტანტთა სისტემაში, ამ მხრივ არც ქართული ფესტური ენაა გამონაკლისი. სალაპარაკო ქართულისგან განსხვავებით, სადაც მთავარი დიქოტომია არის ვინ-რა კატეგორია, ქართული ფესტური ენა განასხვავებს როგორც ადამიანის, ანუ ორფეხის კლასს, ასევე ცხოველების (ოთხფეხთა) და ფრინველების (ანუ სულიერთა) კლასებს და ასევე ნივთის კატეგორიას. აღსანიშნავია, რომ იკონურობის პრინციპზე დაყრდნობით, თითოეული კლასის შიგნით კიდევ, შესაძლოა, გამოიყოს გარკვეული ფორმის, ზომისა თუ დანიშნულების

საგნები და ზმნასთან შეთანხმებისას ეს გარემოებები იქნება გათვალისწინებული ენის მიერ.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში არ არსებობს საერთო ქოლგა-ფორმა მაგალითად ზმნისთვის 'მიდის', რომელიც დაუპირისპირდებოდა 'მოდის' ფორმას. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით არც 'მოდის' ზმნას აქვს ყველა კლასისთვის საერთო ქოლგა-ფორმა. ადამიანი დადის ორი ფეხით, ხოლო ცხოველი - ოთხით. აქედან გამომდინარე, 'მოდის' ან 'მიდის' ზმნათა ფორმები იქნება სრულიად განსხვავებული ჟესტები, იმის მიხედვით, ადამიანზეა საუბარი თუ ოთხფეხზე, თუ მანქანაზე (იხ. სურათები 1, 2 და 3).



სურ.1 ბიჭი მიდის.



სურ. 2. მგელი მიდის.



სურ. 3. მანქანა მიდის.

სხვაობა იქნება იმის მიხედვით, თუ რომელი კლასის კუთვნილებაა სუბიექტი ზმნასთან 'ფრენა', რომელსაც ასევე არა აქვს ქოლგა-ფორმა.



სურ. 4. ჩიტი მიფრინავს.



სურ. 5. თვითმფრინავი მიფრინავს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ზმნის პირთა (ანუ ე.წ. არგუმენტთა) კლასი მეტწილად განაპირობებს ზმნის სათანადო კინეტიკურ ფორმას.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენობრივი მასალიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჟესტურ ენებში კლასის კატეგორია წარმოადგენს აქტიურ გრამატიკულ მოვლენას და შესაბამისად, მას აქვს გარკვეული ტიპის მორფო-სინტაქსური მარკირებაც ამ ენებში.

ქართულ ჟესტურ ენაში კლასის გრამატიკული კატეგორია მკვეთრადაა გამოხატული ბრუნვათა სისტემაში. უნდა ითქვას, რომ ზოდადად, ჟესტურ ენებს არ ახასიათებს ბრუნვათა სისტემების ქონა, თუმცა არის მცირედი გამონაკლისები. ამ მხრივ, ერთობ საყურადღებოა ქართული ჟესტური ენის მასალა. ქართულ ჟესტურ ენაში ფუნქციონირებს სამეტყველო ქართული ენის ენობრივი სისტემის შესაბამისი ზმნის პირებთან დაკავშირებული სამი ბრუნვა. ე.წ. აქტანტური ბრუნვებია ნომინატივი, ერგატივი და დატივი.

სახელობითი არის უნიშნო, ნულოვანი ფორმა, რომელიც ბრუნვათა მორფოლოგიურ სისტემაში ქმნის ნულოვან გრამატიკულ ოპოზიციას. ეს არის ფორმა ფუძის სახით.

ერგატიული ბრუნვა წარმოქმნილია სამეტყველო ქართული ენის გავლენით, თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. ეს ბრუნვა სინტაქსურად ზუსტად იმეორებს სამეტყველო ქართული ენის მოდელს და ქართულ შესტურ ენაში იგი ჩნდება მეორე სერიის ფარდ ფორმებთან, მაგრამ სამეტყველო ქართული ენა არ განასხვავებს კლასის გრამატიკულ კატეგორიას და ერგატივი მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა შემთხვევაში არის მოაზროვნე სუბიექტის ბრუნვა (მახარობლიძე 2009), უნიფიცირებულია ყველა კლასის ფორმებთან. ქართულ შესტურ ენაში კი ერგატიული ბრუნვა მხოლოდ ადამიანის, ანუ ვინ კატეგორიის სახელებს შეიძლება ჰქონდეთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულმა შესტურმა ენამ ერგატიული ბრუნვის მოდელი პირდაპირი კალკირებით კი არ გადმოიტანა, არამედ მოხდა ამ მორფოლოგიური მოვლენის ენობრივი გადააზრება და შესტურმა ენამ სათანადო ადგილი მიუჩინა აღნიშნულ ბრუნვას თავის სისტემაში.


თავისთავად, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ერგატიული ბრუნვის ნიშანი არის 'ადამიანის' აღმნიშვნელი შესტი (ე.წ. კლასიფაერი).



სურ.ნ. ადამიანი / ერგატივის
ბრუნვის ნიშანი


ქართულ ჟესტურ ენაში ერგატივი მხოლოდ გარდამავალი ზმნის აორისტ-ოპტატივის ფარდ ფორმებთან გამოიყენება ადამიანის კლასის სუბიექტის ბრუნვად. გაპიროვნების შემთხვევაშიც კი მაგალითად, რომელიმე ზღაპრის პერსონაჟი 'მგელი' ან 'ციყვი' ვერ აღმოჩნდება ერგატივში, რაც არ უნდა ადამიანის ენით საუბრობდეს ლიტერატურაში. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ ბრუნვას მხოლოდ თბილისის ყრუთა თემის შეზღუდული რაოდენობა გამოიყენებს.

მესამე აქტანტური ბრუნვაა მიცემითი ბრუნვა, რაც ფაქტობრივად არის დეიქტიური ფორმა და როგორც აქტანტური ბრუნვა ესეც სამეტყველო ქართული ენის გავლენით არის გაჩენილი ჟესტურში. ეს ბრუნვა გამოიყენება ადამიანის კლასის ირიბი ობიექტის აღმნიშვნელად.



სურ.7. მიცემითი ბრუნვის ნიშანი

ასევე მკვეთრად გამოხატული კლასის ნიშნით ხასიათდება ირიბი ობიექტის მარკერები – პატივცემულობის და უპატივცემულობის გამომხატველი ნიშნები. ეს ნიშნებიც მხოლოდ ვინ კატეგორიის სახელებთან გამოიყენება (მახარობლიძე 2015).




სურ.8. პატივისცემის
(ბენეფაქტივის) ნიშანი



სურ. 9. უპატივცემულობის
ნიშანი

მერვე და მეცხრე სურათებზე მოცემული ირიბი ობიექტის ნიშნები სხვა თვალსაზრისით, შესაძლოა, განხილული იყოს როგორც ქცევის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ეს მორფოლოგიური კატეგორიაც (ვერსია) მნიშვნელოვანწილად განასხვავებს კლასის ნიშნებს.

სუბიექტისა და ირიბი ობიექტის მსგავსად პირდაპირი ობიექტიც განასხვავებს კლასის კატეგორიას ქართულ ჟესტურ ენაში. აღსანიშნავია, რომ 'ქონა-ყოლა' ზმნა ამ მხრივ არ სხვაობს, იგი იმეორებს 'ყოფნა' ზმნის ფორმებს, მაგრამ ზმნები 'ნაყვანა'/'მოყვანა' და 'ნაღება'/'მოტანა' პირდაპირი ობიექტის კლასის მიხედვით განასხვავებენ ლექსიკურ ფორმებს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იკონურობის პრინციპიდან გამომდინარე, პირდაპირი ობიექტის ზომა და ფორმა ხშირად სათანადოდაა ასახული ზმნის კინეტიკაში. ქართულ ჟესტურ ენას აქვს პირდაპირი ობიექტის ნიშანიც, რომელიც ძირითადად გამოიყენება რა-კლასის სახელებისთვის.



სურ.10. პირდაპირი ობიექტის ნიშანი

ამრიგად, სამეცნიერო ქართული ენისგან განსხვავებით ქართული ფესტური ენა განასხვავებს კლასის გრამატიკულ კატეგორიას და ეს გარემოება ნათლად წარმოჩინდება ზმნური აქტანტების მორფოსინტაქსურ სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

დემეი, კუიჯი 2008: Demey, E. & van der Kooij, E. Phonological patterns in a dependency model: Allophonic relations grounded in phonetic and iconic motivation. *Lingua*, 118, 1109–1138.

ემორეი 2003: Emmorey, K. (Ed.). *Perspectives on classifier constructions in sign languages*. Mahwah: Lawrence Erlbaum Associates.

ემორეი, გრაბოვსკი, მაკელლოუფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004: Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.

მახარობლიძე 2015: მახარობლიძე თამარ. ქართული ფესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ

მახარობლიძე 2012: მახარობლიძე თამარ. ქართული ფესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი 610-გვ.

მახარობლიძე 2019: მახარობლიძე თამარ. ქართული ფესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.

მახარობლიძე 2015: მახარობლიძე თამარ. ქართული ფესტური ენის ლექსიკის შესახებ. იკე, ტ. 43. ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2015 გვ.116-144

მახარობლიძე 2009: მახარობლიძე თამარ. ლინგვისტური წერილები - I. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. ISBN 978-9941-404-50-4 173 გვ.

მახარობლიძე 2012: მახარობლიძე თამარ. **On the Category of Version.** ვერსიის კატეგორიის შესახებ ქართულში. კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი გვ.154-213

მახარობლიძე 2015: Makharoblidze Tamar. Indirect object markers in Georgian Sign Language. Sign Language & Linguistics. №18 (2) John Benjamins Publishing Company. P. 238-250

მეირი 2010 : Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. Language, 86. 865–986.

პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019 : Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. Developmental Science, 21(2), e12551.

თაუბი 2001 : Taub, S. (2001). Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language. Cambridge: Cambridge University Press.

კლასის კატეგორიის შესახებ

(რეზიუმე)

კლასის კატეგორია შესტურ ენებში მკვეთრად გამოხატული მოცემულობაა. განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ კატეგორიის გრამატიკული დატვირთვა ზმნურ აქტანტთა სისტემაში, ამ მხრივ არც ქართული შესტური ენაა გამონაკლისი. სალაპარაკო ქართულისგან განსხვავებით, სადაც მთავარი დიქტომია არის ვინ-რა კატეგორია, ქართული შესტური ენა განასხვავებს როგორც ადამიანის, ანუ ორფეხის კლასს, ასევე ცხოველების (ოთხფეხთა) და ფრინველების (ანუ სულიერთა) კლასებს და ასევე ნივთის კატეგორიას. აღსანიშნავია, რომ იკონურობის პრინციპზე დაყრდნობით, თითოეული კლასის შიგნით კიდევ, შესაძლოა, გამოიყოს გარკვეული ფორმის, ზომისა თუ დანიშნულების

საგნები და ზმნასთან შეთანხმებისას ეს გარემოებები იქნება გათვალისწინებული ენის მიერ.

ქართულ ჟესტურ ენაში კლასის გრამატიკული კატეგორია ასევე მკვეთრადაა გამოხატული ბრუნვათა სისტემაში. ზოდადად, ჟესტურ ენებს არ ახასიათებს ბრუნვათა სისტემების ქონა, თუმცა არის გამოწვევები და ამ მხრივ საყურადღებოა ქართული ჟესტური ენის მასალა. ქართულ ჟესტურ ენაში ფუნქციონირებს სამეტყველო ქართული ენის ენობრივი სისტემის შესაბამისი ზმნის პირებთან დაკავშირებული სამი ბრუნვა. ე.წ. აქტანტური ბრუნვებია ნომინატივი, ერგატივი (ძალიან შეზღუდულად) და დატივი.

სამეტყველო ქართული ენისგან განსხვავებით ქართული ჟესტური ენა განასხვავებს კლასის გრამატიკულ კატეგორიას და ეს გარემოება ნათლად წარმოჩინდება ზმნური აქტანტების მორფოსინტაქსურ სისტემაში.

On class-category in GESL

The class category is a strongly expressed feature in sign languages. The grammatical load of this category is particularly visible in the system of verbal argument, and Georgian Sign Language (GESL) is no exception in this regard. Unlike spoken Georgian, where the main dichotomy is who-what category, GESL distinguishes between the human, i.e., two-legged, animal (four-legged) and birds – animated-inanimate classes, as well as the object category. It should be noted that based on the principle of iconicity, objects of a certain shape, size or purpose may be distinguished within each class, and these circumstances will be taken into account by the language when agreeing with the verb.

In GESL, the grammatical category of class is also strongly expressed in the declination system. In general, sign languages are not characterized by having case systems for nouns, although there are some exceptions, and GESL is very interesting in this respect. In GESL, there are three cases for verbal argument structure corresponding to the linguistic system of the spoken Georgian language. The argument cases are nominative, ergative and dative.

Unlike the spoken Georgian language, GESL distinguishes the grammatical category of the class, and this circumstance is clearly shown in the morphosyntactic system of verbal argument structure.


საკუთარი სახელები

ჟესტურ ენებში საკუთარი სახელები გადმოიცემა დაქტილური ანბანით. ეს არის ანბანი, რომელიც გამოიყენება ზეპირი კომუნიკაციის დროს. ყრუები ასევე გამოიყენებენ ზედმეტსახელებს, რასაც მიანიჭებენ მათთან ხშირ კონტაქტში მყოფ ადამიანებს. ეს ზედმეტსახელები ძირითადად გარეგნული ნიშნის მახასიათებლები შეიძლება იყოს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეს ზედმეტსახელები მემკვიდრეობითაც გადადის ამ თუ იმ თემში. მაგალითად, თბილისის ყრუთა თემში ერთ ქალბატონს ჰქონდა მეტსახელი 'შრამიანი', რადგანაც შრამი ჰქონდა სახეზე. ეს სახელი გადავიდა მის ქალიშვილზეც, თუმცა ამ უკანასკნელს არ ჰქონდა არანაირი შრამი სახეზე.

ასევე დაქტილური ანბანით გადმოიცემა ადამიანთა გვარებიც. (იხ. დაქტილური ანბანი.)

გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელები დაქტილური ანბანით გადმოიცემა. მხოლოდ რამდენიმე ერთეულია გამონაკლისი, სადაც გვაქვს შესაბამისი სიტყვა-ჟესტი. ძითითადად, ეს არის ქალაქების სახელები:




ზუგდიდი – ქალაქი სამეგრელოში

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'სამეგრელო' – ხელისგული მიმართულია წინ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება ყურთან, დანარჩენი თითები გაშლილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ქალაქი' – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ქვევით ჩანეული შუა თითით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

სოსუმი



გორი



ქუთაისი



ბათუმი



აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები

ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგიაში აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები სემანტიკურად იდენტურია ნებისმიერი ენის მოცემულობისა. ეს ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი მხოლოდ ერთი ტიპის თავისებურებას გვიჩვენებს. კერძოდ, ზოგჯერ ამ სახელებს აბსტრაქტულობის მანარმოებლად აქვთ ე. ნ. დანიშნულების ფესტი, რაც თავისთავად არაზუსტი გადააზრებაა ენობრივი სისტემის (იხ. დანიშნულების ფესტის შესახებ); მაგალითად:

სივინროვე – მცირე ზომის ქონა, ფართობის ნაკლებობა, ვინროობა



ორნანილიანი ფესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ფესტი 'ვინრო' – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები და ერთმანეთს მჭიდროდ ეხება, ორივე ხელით რკალური ტრექტორიით სრულდება განმეორებადი

მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ხელები ცვლიან პოზიციებს: ჯერ მარჯვენა ხელია ზემოთ განთავსებული, შემდეგ – მარცხენა; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'დანიშნულება' – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

კრებითი სახელები

ქართული ჟესტური ენა კრებით სახელებს გადმოსცემს სპეციალური ჟესტებით, როგორებიცაა:




ჯგუფი - რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს მყოფი ვინმე (ან რამე), გუნდი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებითა და ზევით აწეული ცერებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

წინააღმდეგობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ფარა - ცხვრის ჯოგი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ცხვარი' - ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და თავისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამი-



წარმოდგენილია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამი-

კური სიტყვა-ჟესტი 'სიმრავლე (ცხვრის)' / 'კრებილობა' - ხელისგულები ქვევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა და ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

ზემოთ მოცემული ჟესტის ('ფარა') მეორე ნაწილი ზოგადად არის ამ ენაში სიმრავლის გამომხატველი ერთ-ერთი ჟესტი. უნდა ითქვას, რომ აქ შენიშნება გარკვეული ლექსიკური სიმწირე. საერთო ჟესტია ისეთი ლექსიკური ერთეულებისათვის, როგორებიცაა 'გუნდი', 'დასი', 'ბანდა' და 'ჯგუფი'.

ნივთიერებათა სახელები

ნივთიერებათა სახელები იმეორებს სამეტყველო ენების სისტემას. ეს სიტყვა-ჟესტები არ გვხვდება მრავლობით ფორმებში. ასეთებია:




წყალი – უფერული, გამჭვირვალე სითხე, რომელიც იხმარება სასმელად, სარეცხად, საბანად, სარწყავად ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



რძე – თეთრი ან მოყვითალო ფერის სითხე, რომელსაც მშობიარობის შემდეგ ჩვილი შვილების საკვებად გამოყოფენ ქალი და ძუძუმწოვარი ცხოველები მკერდის ჯირკვლებიდან


ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ მიმართულია

ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ფალანგებში ოდნავ მოხრილია გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, სრულდება ხელების კონფიგურაციათა და პოზიციათა მონაცვლეობითი, განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ღვინო – ყურძნის ნაწური, თავისით დადებული, მათრობელა სასმელი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, ყელს ეხება საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.



ოქრო – ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი, იხმარება ღირებულების საზომად, აგრეთვე სამკაულების დასამზადებლად

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



რკინა – ქიმიური ელემენტი, ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მძიმე, მოვერცხლისფრო ლითონი ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური შესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და

შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელის გაშლილ თითებს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჭედადი, მსუბუქი ლითონი ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'რკინა' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'დრეკადი' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.





რჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'დრეკადი' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ფლექსია

ბრუნვათა სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში

ზოგადად მიღებულია აზრი, რომ ჟესტურ ენებში არ არის ბრუნვათა სისტემები, თუმცა ამ ენების ზოგი სპეციალისტი, ისეთი ცნობილი ლინგვისტი, მაგალითად, როგორცაა ირიტ მიერი (2003) ცდილობდა ამ სისტემის გამოვლენას. ზოგადად, ჟესტურ ენებს ახასიათებთ თანადროული და არა სეგემენტური მორფოლოგია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ენები წმინდად სინქრონული მორფოლოგიის ენებია. ჩვენ განვსაზღვრეთ ჟესტის, როგორც აფიქსის პარამეტრები (მახარობლიძე & არჩვაძე 2022). ჟესტი რომ ჩაითვალოს გრამატიკულ აფიქსად, საჭიროა ეს ჟესტი იყოს დელექსიკალიზებული, ჰქონდეს კონკრეტული მორფო-სემანტიკა, მყარი ადგილი და შესაძლოა იყოს ეროზირებული ან სახეცვლილი ერთი ან რამდენიმე ფონოლოგიური მახასიათებლით.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება ბრუნვათა სისტემის ფუნქციონირება. კერძოდ, ქართული ჟესტური ენის დესკრიფციული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ფლექსიის შემდეგი მარკირებული ფორმები:

			
a. ერგატივი	b. დატივი	c. გენიტივი	d. ვოკატივი

სურ.1 ბრუნვათა მარკირებული ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში

ამრიგად, ამ მარკირებულ ფორმებს ემატება არამარკირებული ნომინატივი, რომელიც არის ამ ოპოზიციის სრულუფლებიანი წევრი და ვიღებთ კარგად ჩამოყალიბებულ ბრუნვათა შემდეგ სისტემას:

1. ნომინატივი
2. ერგატივი
3. დატივი
4. გენიტივი
5. ვოკატივი

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ბრუნვის მარკერი უკან მოჰყვება არსებით სახელს და აქვს მყარი ადგილი. ასევე ყველა ეს ფორმა არის დელექსიკალიზებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ნომინატივი (იხ. სურათი 2), როგორც უნიშნო წევრი, ზოგადი ტიპოლოგიური სახეა ჟესტურ ენებში და აქ არანაირი კითხვები არ წარმოიშობა. რაც შეეხება ერგატივს (იხ. სურათი 3), ეს არის ადამიანის გამომხატველი ნიშანი, რომლის დელექსიკალიზაციაც ხდება. მას აქვს მყარი ადგილი, ის უშუალოდ მოჰყვება არსებითი სახელის აღმნიშვნელ ჟესტს. ეს ბრუნვა ქართული სამეტყველო ენის გავლენით არის ქართულ ჟესტურ ენაში გაჩენილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ არ ხდება ბრმა გავლენა. ქართულ სამეტყველო ენაში ერგატივი შეუძლია მიიღოს ნებისმიერი კლასის სახელმა, ხოლო ჟესტურში კი მხოლოდ ადამიანის კლასი მიიღებს ამ ბრუნვას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ეს ენა გაპიროვნების შემთხვევაშიც კი არ დააყენებს სხვა სულიერ სახელს ერგატივში. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მოაზროვნე სუბიექტის როლს ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებაში ზოგადად. ქართულ ჟესტურ ენაში სინტაქსურად ერგატიული

სისტემის იგივე მოდელი გვაქვს, რაც ქართულ სამეტყველო ენაში. ეს ბრუნვა თავს იჩენს როგორც სუბიექტის ბრუნვა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფარდ ფორმებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ჟესტურ ენაში ერგატიული ბრუნვა ძალიან იშვიათად გამოიყენება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ყრუთა თემის წევრების შეზღუდული რაოდენობა იყენებს ამ ბრუნვას ჟესტურ მეტყველებაში.



კანი არის

სურ. 2. ნომინატივი



კანა დახატა

სურ. 3. ერგატივი

დატივი (იხ. სურათი 4) არის განსაზღვრული, როგორც ირიბი ობიექტის ბრუნვა. დატივის ნიშანი წარმოშობით დეიქტიური ფორმაა, თუმცა როგორც ბრუნვის ნიშანი ის უკვე აღარ არის დეიქტიური. თავისთავად, ერგატივისა და დატივის ეს ფუნქციები თავისი მნიშვნელობით ათავისუფლებს სიტყვათა რიგს წინადადებაში. დატივი ირიბი ობიექტის ბრუნვაა და აქაც ხდება ქართული სამეტყველო ენის სი-

ნტაქსური ფორმატის გამეორება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრუნვა მხოლოდ სულიერი ვინ კლასის არსებით სახელებთან გვხვდება სამეტყველო ქართული ენისგან განსხვავებით. ასევე, დატიური ბრუნვა არ იმეორებს იმ მდიდარ სემანტიკას, რაც მას გააჩნია სამეტყველო ქართულში, სადაც მას შეუძლია აწარმოოს დროისა და ადგილის აღმნიშვნელი ფორმები, ასევე გამოხატოს პირდაპირი ობიექტი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან.



კას მიჯი

სურ. 4. დატივი

გენეტივი (იხ. სურათი 5) ზოგადად არის კუთვნილებითობის გამომხატველი სემანტიკის მქონე ბრუნვა. ამ თვალსაზრისით, ის ბრუნვა ორგანულია ყველა შესტური ენისთვის, სადაც იგი თავს იჩენს. ამ კუთხით, არც ქართული შესტური ენაა გამონაკლისი. ეს ბრუნვა არ გაჩენილა სამეტყველო ქართული ენის გავლენით. წარმოდგენილი გენეტივის მარკერი ყოველთვის იყო ქართულ შესტურ ენაში და ფუნქციონირებდა როგორც კუთვნილების ნიშანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს გენეტივის მარკერი თავდაპირველად მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან იჩენდა თავს, ბოლო პერიოდში კი ამ ნიშნის გამოყენების არეალი გაიზარდა და ახლა ეს ნიშანი გვხვდება სხვა სულიერ არსებით სახელებთანაც, თუმცა შედარებით იშვიათად. გენეტივის ნიშანი წარმოშობით კუთვნილებითი ნაცვალ-სახელების ფორმიდან მოდის (შენი, ა/ი/მისი, თქვენი, ა/ი/მათი), რაც,

თავისთავად, მოგვაგონებს სამეტყველო ენებში ბრუნვის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობის საკითხებს. უნდა ითქვას, რომ გენეტივის მარკერი შედარებით დაბლა, მკერდის არეში და ოდნავ ქვევით ინარმოება, მაშინ, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები მხრების და სახის დონეზეა წარმოდგენილი. შესტის ლოკაცია ერთ-ერთი ფონოლოგიური პარამეტრია შესტურ ენებში და ამგვარი სხვაობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს შესტი (გენეტივის მარკერი) არის გრამატიკული ნიშანი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გენეტივის ნიშანი შესაძლოა მოსდევდეს არა უშუალოდ პოსესორს, არამედ ფლობის საგანსაც. ეს განპირობებულია შემდეგი ორი გარემოებით:

1. როდესაც გვაქვს ადამიანი და ნივთი (ან სხვა სულიერი, მაგ. ცხოველი ან ფრინველი), აქ ცხადია, პოსესორი იქნება ადამიანი. ამიტომაც ენა უშვებს ამ ტიპის გადაადგილებას. როდესაც ორი ვინ კლასის საგანია მოცემული, აქ გენეტივის ნიშანი აუცილებლად დაერთვის უშუალოდ მფლობელს (მაგ. *სტუდენტის ძმა* იქნება წარმოდგენილი შემდეგნაირად: 'სტუდენტი, პოსესიურობის ნიშანი/ანუ გენეტივის ნიშანი ძმა')
2. ქართული შესტური ენა სტანდარტიზაციის გარეშეა, რაც თემის წევრებს აძლევს სხვადასხვა ფორმების გამოყენების საშუალებას.



კანის ნიშნი

სურ. 5. გენეტივი

ვოკატივი (იხ. სურ. 6) ზოგადად არის იმპერატიული ბრუნვა, როგორც ამას აღნიშნავენ ჟესტური ენის მკვლევარები (Donati, C., G. Barberà, C. Branchini, C. Cecchetto, C. Geraci & J. Quer. 2017 და სხ.) გასაგებია, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე (ეს არის კომუნიკანტის მოხმობის ფორმა. კომუნიკანტი, კი მხოლოდ ადამიანია), ეს ბრუნვაც მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან შეიძლება შეგვხვდეს.



კანო

სურ. 6. ვოკატივი



ვოკატივი (შენ, რა ხარ...)

ერგატივსა და დატივს ყრუთა თემის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენებს. ამრიგად, ქართულ ჟესტურ ენაში ზემოთ წარმოდგენილი ბრუნების მოდელი ქართული სამეტყველო ენის ზეგავლენით არის

ჩამოყალიბების პროცესში და ამას უჩვენებს დრო, თუ რამდენად მიიღებს ეს ენა ამ მოდელს საბოლოოდ. წმინდა ფესტური ენების ბუნებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, აქ ფლექსიური პარადიგმა იქნება ოდნავ განსხვავებული. სახელი, შესაძლოა, შეგვხვდეს ფესტით ანუ ფუძით ან მას ფესტური მეტყველების პროცესში მიენიჭება ადგილი და შემდეგ გვხვდება მითითება ამ ადგილზე. ამის გათვალისწინებით, თუკი გამოვრიცხავთ სამეტყველო ქართულის გავლენას წმინდა ფესტური ფლექსიური პარადიგმა ქართულ ფესტურ ენაში ასე გამოიყურება:

ნომინატივი – R- Ø (ნულოვანი მარკირება)

დეიქტივი – Ø^{loc}- III პირის ნაცვ.

დეიქტიური გენიტივი – Ø^{loc}- III კუთვნილებითი ნაცვ.

გენიტივი – R- პოსესიური მარკერი

ვოკატივი – R/Ø - ვერტიკალური ხელის დაქნევის ფესტი, რითიც მოსაუბრე ერთვება ფესტურ კომუნიკაციაში.

ე. ი. გვაქვს ძირი და დეიქტიური ფორმებისთვის კი ნულოვანი ძირია. ის გარემოება, რომ ბრუნვის ნიშნები პირის და კუთვნილებითი ნაცვალსახელებია ნულოვანი ძირის შემთხვევაში, შეგვახსენებს ზოგადად ენებში ბრუნვის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობის ფაქტს. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ გენიტივის შემთხვევაში უმეტესწილად უმაღლესი იერარქიული კლასია პოსესორი. ამიტომ დასაშვებია. როგორც ამ ბრუნვის ნიშნის გადაადგილება, ასევე მისი გამოტოვებაც. თუკი ორი თანაბარი კლასია (ორი უსულო, ან ორი ვინკატეგორია, ან ორი ცხოველი) წარმოდგენილი, ან უფრო დაბალი კლასია პოსესორი (მაგ. სახლის კაცი), მაშინ აუცილებელია ზედმიწევნით სრულად გაფორმებული ნათესაობითის ბრუნვა პოსესორთან.

იმის გათვალისწინებით, რომ ერგატივი და დატივი ქართული სამე-
ტყველო ენის გავლენითაა წარმოქმნილი, წმინდა ჟესტური ბუნების
ბრუნვათა სისტემა ქართულ ჟესტურ ენაში შემდეგი ორი ალტერნა-
ტიული მოდელით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

1.

Nominative R- Ø

Deictive Ø^{loc}-PRO^{Index3}

Genitive^{loc} Ø^{loc}-PRO^{Poss}

Genitive R- possessive marker

Vocative R / Ø – vertical handwaving or vocative marker

2.

case	R – root	Ø ^{loc} zero root
Nominative	R- Ø	Ø ^{loc} - PRO ^{index3}
Genitive	R-PossM	Ø ^{loc} - PRO ^{poss(3)}
Vocative	R-VocM	Ø ^{loc} – Vert. Wave

გამოყენებული ლიტერატურა:

მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-
ნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.

მახარობლიძე თ. (2019) ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლო-
გია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნუ-
ლი სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.

მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-
ნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.

Börstell, Calle (2016) Taking it PERSONally The form and function of
the case-marked pronoun OBJ-PRO in Swedish Sign Language. Poster

presented at the 12th International Conference on Theoretical Issues in Sign Language Research La Trobe University, Melbourne January 4–7, 2016 *file:///C:/Users/User/Downloads/borstell2016 –poster.pdf*

Börstell, Calle (2015) The case marked pronoun OBJ PRO in Swedish Sign Language Calle Börstell Stockholm Univrsity. *file:///C:/Users/User/Downloads/OBJ-PRO –Swedish%20Sign%20Language.pdf*

Börstell, Calle (2017) Object marking in the signed modality Verbal and nominal strategies in Swedish Sign Language and other sign languages. PHD dissertation. University of Stockholm.

Donati C., G. Barbera, C. Branchini, C. Cecchetto, C. Geraci, J. Quer. 2017. Searching for imperative in European sign languages. In Van Olmen, D. and S. Heinold (eds.). *Imperatives and Other Directive Strategies*, 111- 155. Amsterdam: John Benjamins.

Makharoblidze Tamar & Archvadze Tamar. (2022). On morphosemantics of the Destination Sign in the Georgian Sign Language. Kadmos. ISU. Tbilisi

Meir, Irit. 2003. Grammaticalization and modality: The emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language. *Journal of Linguistics* 39(1). 109–140. doi: 10.1017/S0022226702001664.

Case system in Georgian Sign Language

(summary)

Georgian Sign Language (GESL) is a language of Deaf and Hard of Hearing people (DHH) in Georgia. As a language of former Soviet space, it still has a considerable influence from Russian Sign Language (RSL), especially on its lexical level. Crucially, however GESL has its individual grammatical system, which is not only different from RSL, but also from spoken Georgian.

Usually, sign languages (SL) do not have case marking. One of the few studies that claim the existence of case marking in SL is Meir (2003), who argues that Israeli Sign Language (ISL) features a case marking pronoun,

which is grammaticalized from the sign person — the regular index pronoun directed in space at either the signer/addressee or a location in space. Meir found that there are several relevant differences between the signs PERSON and the case-marked pronoun labeled PRO[bC]. Meir (2003) considers, that 'ISL agreement verbs is a manifestation of the dative case'. She outlines, that 'marking case distinctions on the verb is very different from the more usual mechanism of case-marking in spoken languages, namely, by marking the nominal arguments'. Makharoblidze (2012, 2015) and Börstell (2015, 2016, 2017) had trials to describe case marking in SL.

The descriptive investigations of Georgian Sign Language - GESL reveal that this sign language is crucially different in this respect, as it has a rich system of case marking. I argue that there are five cases in GESL - nominative, ergative, dative, genitive and vocative, and they are used only for human class nouns. Nominative case is zero-marked. The other four markers are depicted in Table 1. In GESL case markers do not move in space in difference from the same type markers of other categories.

On case marking in Georgian Sign Language

Georgian Sign Language (GESL is a language of Deaf and Hard of Hearing people (DHH) in Georgia. As a language of former Soviet space, it still has a considerable influence from Russian Sign Language (RSL), especially on its lexical level. Crucially, however GESL has its individual grammatical system, which is not only different from RSL, but also from spoken Georgian.

Usually, sign languages (SL) do not have case marking. One of the few studies that claim the existence of case marking in SL is Meir (2003), who

argues that Israeli Sign Language (ISL) features a case marking pronoun, which is grammaticalized from the sign person — the regular index pronoun directed in space at either the signer/addressee or a location in space. Meir found that there are several relevant differences between the signs PERSON and the case-marked pronoun labeled PRO[bC]. Meir (2003) considers, that ‘ISL agreement verbs is a manifestation of the dative case’. She outlines, that ‘marking case distinctions on the verb is very different from the more usual mechanism of case-marking in spoken languages, namely, by marking the nominal arguments. Makharoblidze (2012, 2015) and Börstell (2015, 2016, 2017) had trials to describe case marking in SL.

An investigation of GESL reveals that this sign language is crucially different in this respect, as it has – in contrast to all sign languages investigated to date – a rich system of case marking. I argue that there are five cases in GESL (Nominative, Ergative, Dative, Genitive and Vocative), and they are used only for human class nouns. Nominative case is zero-marked; the other four markers are depicted in Table 1. In GESL case markers do not move in space in difference from the same type markers of other categories.





			
a. Ergative	b. Dative	c. Genitive	d. Vocative

Table 1. Case markers in GESL

Crucially, the GESL case marking does not mirror the system of spoken Georgian. While we acknowledge that the system of case markers may have been influenced by spoken Georgian, the GESL case markers show clearly different properties with respect to their distribution and use. For instance, Georgian has seven cases which are used for all types of nouns. That is, we are not dealing with ‘Signed Georgian’, but with a grammatical phenomenon in a natural sign language.

- a. Nominative in GESL is widely used. This is non-marked form, which was revealed as an opposition to other cases.
- b. Ergative in GESL is not always used among the signers. Only 40% uses it in natural signing process. Although it appeared among the signers few dozen years ago (in post Soviet time), and is considered as ‘good or correct/ standard signing“.

The GESL teachers teach these cases at Deaf schools. This case differs from spoken Ergative. It is used only with human class nouns, while in spoken Georgian this case can be used for any type of noun. Interestingly, the marker of ergative is a sign for HUMAN / PERSON - outlining the content of human class for this case. This sign has the identical form across languages (see the table 1a). GESL ergative follows the spoken Georgian and it is used only in aorist (for transitive and medioactive verbs).

- c. Dative in GESL has also the same history as Ergative. It appeared during the reintegrating process and it is taught at schools. So, that new DHH generations in Georgia will sign these cases. Dative in GESL is used for indirect object nouns:

INDEX₁ TELL MOTHER-DAT. The marker is an extended index finger (see the table 1b). In difference from the same type indirect object deictic marker the dative case marker does not move in space.

- d. Genitive for GESL is a marker of positivity used for human (see the table 1c). MOTHER-GEN BOOK compare with DOG BONE. This case was always used in GESL. With non-human animated referents the possessivity marker '*for*' appears CAT FOOD-FOR. Note, that it appears after FOOD, not after the possessor and this marker can move in space towards the possessor, while the genitive case marker does not move (like the other case markers).
- e. Vocative (see the table 1d) is an old case in GESL. Although there were some discussions about this case (for spoken Georgian) whether it can be considered as a case or not.

Taking into account the fact that Ergative and Dative are influenced from spoken Georgian, we can talk about other cases as originally existed in GESL. Here are two possible systems of flexion in GESL:

1.

Nominative R- Ø

Deictive Ø^{loc}-PRO^{Index3}

Genitive^{loc} Ø^{loc}-PRO^{Poss}

Genitive R- possessive marker

Vocative R / Ø – vertical handwaving or vocative marker

2.

case	R – root	Ø ^{loc} zero root
Nominative	R- Ø	Ø ^{loc} - PRO ^{index3}
Genitive	R-PossM	Ø ^{loc} - PRO ^{poss(3)}
Vocative	R-VocM	Ø ^{loc} – Vert. Wave

The research is interesting, because it is the first study to describe case markers in a sign language. The study can contribute to sign language typology as well.

References

Calle Börstell (2016) Taking it PERSONally The form and function of the case-marked pronoun OBJ-PRO in Swedish Sign Language. Poster presented at the 12th International Conference on Theoretical Issues in Sign Language Research La Trobe University, Melbourne January 4–7, 2016 file:///C:/Users/User/Downloads/borstell2016 –poster.pdf

Calle Börstell, (2015) The case marked pronoun OBJ PRO in Swedish Sign Language Calle Börstell Stockholm Univrsity. file:///C:/Users/User/Downloads/OBJ-PRO –Swedish%20Sign%20Language.pdf

Calle Börstell, (2017) Object marking in the signed modality Verbal and nominal strategies in Swedish Sign Language and other sign languages. PHD dissertation. University of Stockholm.

Makharoblidze Tamar (2012) Georgian Sign Language. (in Georgian). Ministry of Education and Science, USAID, Save Children International. Tbilisi. 2012 615pp.

Makharoblidze T. (2015) Georgian Sign Language Dictionary. Ilia State University; Shota Rustaveli National Scientific Foundation. Tbilisi. ISBN 978-9941-16-225-5 1368 pp.

Meir, Irit. 2003. Grammaticalization and modality: The emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language. Journal of Linguistics 39(1). 109–140. doi: 10.1017/S0022226702001664.

ბრუნვათა ფორმების მაგალითები


1. უმარკერო ნომინატივი - კაცი



კაცი არის.

2. ერგატივი როგორც მხოლოდ ადამიანის კლასის ფორმა –

საკვირველი არ არის რომ მარკერი არის ე.წ. კლასიფაიერი, რადგანაც ეს ადამიანის ნიშანია.



კაცმა

კაცი ერგ. // MAN-ERG

კაცმა



კანმა დახატა

კაც-ერგ. ხატვა // MAN-ERG PAINT

კაცმა დახატა

იგივე მარკერი (განმეორებითი ფორმით) არის მრავლობითობის ნიშანიც ადამიანების კლასისთვის, მაგ., კაცები.




კანები



კანები

ერგატივის მრავლობითობა განსხვავებულია:




კაცება

კაცი-მრავლობითობა ერგატივის ნიშანი // MAN PLURALITY ERG.

კაცებმა

უსულო სახელებისთვის და ასევე ცხოველთა კლასისთვის ამ ბრუნვას ნომინატივი ჩაენაცვლება.

3. დატივი



მიმართების ნიშანი

ეს არის დატივის მარკერი. მე მას მიმართების ნიშანი ვუნოდე ჩემს ადრეულ შრომებში.



კაცს მივანი

კაცი-მიც. მიცემა // MAN-DAT GIVE

(მე) მივეცი კაცს.



მე კაცს ვუთხარი

მე კაცი-მიც. თქმა // I MAN-DAT SAY

მე ვუთხარი კაცს.

ზოგჯერ ეს დატივი ჩანაცვლებულია მიმიკური ფორმით - თავის გადაქნევით.



მე კაცს ვუთხარი

მე კაცი-მიმიკა თქმა // I MAN-MIMIC SAY

მე ვუთხარი კაცს.




კაცის წიგნი

კაცი-პოსეს. წიგნი

კაცი-გენ. წიგნი // MAN-GEN BOOK

კაცის წიგნი

4. ვოკატივი



ვოკატივის ნიშანი



კანო

კაცი-ვოკ.




კანო. თქვი

კაცი-ვოკ. თქმა // MAN-VOC SAY

კაცო, თქვი!

სახელთა დერივაცია

სახელთა დერივაცია ქართულ შესტურ ენაში საინტერესო სურათს ქმნის, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქართული შესტური ენის ლექსიკის ზოგადი მიმოხილვა. ნებისმიერი ენა არის ნიშანთა სისტემა. ამდენად, ისევე, როგორც ნებისმიერი სამეტყველო ენა, ნებისმიერი შესტური ენა წარმოადგენს კონკრეტულ ენობრივ სისტემას და აქვს ყველა იერარქიული დონე. შესტური ენა ვიზუალურ-სივრცითი ენაა, სადაც ინფორმაციის კოდირება ხდება ხელებით და სახის გამომეტყველებით, გამოხედვით, სხეულისა და თავის მოძრაობით. შესტური ენები აღიქმება მხედველობით (ე. პროზოროვა, ა. კიბრიკი 2006:165) რამდენადაც, შესტურ ენებში წამყვანია ვიზუალური აზროვნება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ლექსიკური დონის მთვარი მამოძრავებელი ფენომენი შესტის გარეგნული მხარეა. შესტურ ენათა ლექსიკური ანალიზი გულისხმობს კინემის აღწერას. ასეთია საერთაშორისო სტანდარტი ამ ტიპის ლექსიკონებისათვის. კინემის აღწერა არის მიმიკისა და ქირემის ჯამური აღწერა.




მიმიკა არის სახის გამომეტყველება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული გრამატიკული ფუნქცია და ქირემა არის ხელით შესრულებული მოძრაობის ერთეული. ქირემის ძირითადი კომპონენტებია:

1. ხელის მტევნის გამოხატული ფორმა (ხელის მტევნით გადმოცემული კონკრეტული სიტყვის ფორმა);
2. ხელისგულის მიმართულება;

3. ხელის მოძრაობის ადგილი;
4. ხელის მოძრაობის ტრაექტორია.

ეს კომპონენტები, როგორც შესტის კომპონენტები, გალადეტის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ სტოკოემ გამოყო 60-70 წლების მიჯნაზე და შესტი განიხილა როგორც ფონემური დონის ერთეული და ზემოჩამოთვლილი კომპონენტებით წარმოადგინა მის მასხასიათებლებად. ასეთი მიდგომა იყო რევოლუციური. ეს გახდა ახალი ერის დასაწყისი შესტური ენების კვლევების ისტორიაში. ამ ხედვამ, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა შესტური ენების მეცნიერულ კვლევას და დაამტკიცა, რომ ეს ენები დამოუკიდებელი თვითკმარი ენებია.

შეიძლება ითქვას, რომ შესტური ენა არის კინემატოგრაფიული ენა. შესტურ ენებში არსებობს შესტური ენობრივი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია სამგანზომილებიან სივრცეში და აქ ყველა კომპონენტი ჩართულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა-შესტი ასეთ სისტემაში დახასიათდება შემდეგნაირად:



სიტყვა-შესტი შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს სამგვარი ფორმის:

1. მხოლოდ შესტით გამოხატული (მაგ. კაცი, ქალი);

2. შესტითადა ერთი დაქტილით გადმოცემული (მაგ. ევროპა – ე+შესტი, აზია – ა+შესტი);

აქ გვაქვს ორი ვარიანტი:


ა. ფორმა ინყება დაქტილით ('ევროპა' – ე+შესტი);

ბ. ფორმა მთავრდება დაქტილით ('ბევრჯერ' – შესტი+რ);

3. შესტითა და რამდენიმე დაქტილით გადმოცემული (მაგ. ოკეანე ოკ + შესტი).

აქ წარმოდგენილი ბოლო ორი ფორმა არის კომბინირებული – დაქტილურ-შესტური. კომბინირებულ სიტყვა-შესტებში დაქტილი ან დაქტილები შეიძლება იყოს შესტის წინ ან უკან მოსდევდეს შესტს. ქართულ ენას თითქმის არ ახასიათებს შესტის შემდეგ დაქტილის ან დაქტილების დართვა. ასეთი წყობა რუსული შესტური ენისთვის უფრო დამახასიათებელია (მაგალითად, მარილის აღმნიშვნელ სიტყვა-შესტს რუსული ენა დაურთავს რბილი ნიშნის გამომხატველ დაქტილს).

სიტყვა-შესტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ერთი ან ორი ხელით.



ბალი – ვარდისებრთა ოჯახის საშუალო სიმაღლის ხეხილი, აქვს მსხვილი დახრილი ფოთოლი, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვრილი ნაყოფი

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური შესტი, სხეულისკენ მიმართულია ყურთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. შესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.


ორხელიანი შესტის შემთხვევაში თუკი ორივე ხელი ერთანირ მოძრაობას ასრულებს, ეს არის სიმეტრიული შესტი, ხოლო თუკი სხვა-

დასხვა მოძრაობები სრულდება, მაშინ გვაქვს ასიმეტრიული ჟესტი. ორხელიანი ასიმეტრიული ჟესტის შემთხვევაში ერთ-ერთი ხელი უფრო აქტიურ მოძრაობებს ასრულებს მეორესთან შედარებით და ეს ენობრივი მოვლენა განისაზღვრება როგორც დომინანტი კონდიცია, ხოლო მეორე ნაკლებად აქტიური ხელის პოზიციას ეწოდება პასიური კონდიცია (ბეიკერ-შენკი და კუკელი 1980:82).



ბალიში – ბუმბულით ან სხვა რბილი მასალით გავსებული ოთხკუთხა ფორმის თავქვეშ სადები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ბაყაყი – წყალ-ხმელეთის ცივისსხლიანი ოთხფეხა, უკუდო, პატარა, ხტუნია ცხოველი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და ნეკი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, თავისუფლად გაშლილი და დახრილი თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ხტუნვით მოძრაობებს ასრულებს მარცხენა მკლავზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

თავისი ლინგვისტური ფუნქციით ჟესტი შეიძლება იყოს ლექსიკური, სემანტიკურ-გრამატიკული ან ოდენ გრამატიკული. მაგალითად, ქართულ ჟესტურ ენაში არსებული ერგატიულობის ან ირიბი მიმართების ჟესტები ოდენ გრამატიკული ჟესტებია, თანდებულები და

ზმნისწინების გამომხატველი ფესტები არის სემანტიკურ-გრამატიკული ფუნქციური ფესტები და არსებითი სახელების შესაბამისი სიტყვა-ფესტები კი ლექსიკური ფუნქციის მქონე ფესტებია.

აღამ კენდონის მიხედვით, ფესტი შესაძლოა იყოს სამი ტიპის:

1. იკონოგრაფიული, რომელიც გადმოსცემს საგნის ან მოქმედების ხატებას ან ნიშნებს,
2. მეტაფორული, რომელიც შეიცავს სიტყვის მეტაფორული ტიპის გადააზრებას ან
3. დეიქტიური, მიმართულების აღმნიშვნელი.

ფესტური ენები უნდა გაიმიჯნოს სამეცყველო ენებში გამოყენებული ფესტ-მიმიკებისაგან ანუ ე. წ. ექსტრალინგვისტური ფაქტორებისგან. ფესტურ ენაში ფესტ-მიმიკა ურთიერთობის საყრდენი და ერთადერთი საშუალებაა – აქ გვაქვს საყრდენი ფესტური კომუნიკაცია. ხოლო სამეცყველო ენებში ეს დამატებითი ფაქტორია, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტაცია აქვს.

ცნობილია, რომ მეცყველება მხოლოდ ადამიანის კლასის კუთვნილებაა და ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ კლასისთვის. როგორ დგას საკითხი ფესტური ენის შემთხვევაში? ფესტური ენა ეს არის ენობრივი აზროვნების განსხვავებული კინემური ფორმა. ფესტური ენები არის აზრობრივი ცნებების კინემატური ასახვის სისტემები. ფესტური ენა, როგორც საუკეთესო ლინგვოვიზუალური სისტემა, წარმოაჩენს ლინგვისტურ ერთეულებს, რომელთა კანონზომიერი ურთიერთმიმართებები ქმნის ერთიან ენობრივ სტრუქტურას.

საერთოდ, ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სხვა სულიერი არსებებისაგან არის ის, რომ ადამიანმა შექმნა შრომის იარაღი – ეს არის კოგნიტიურ-მანუალური აქტი. აქ უმნიშვნელოვანესია

ის გარემოება, რომ სწორედ ხელი და ხელით ნაწარმოები პროდუქტი გახდა ძირითადი ნიშანი ადამიანის სხვაობისა. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ტიპის მეტყველებას (ბგერითსაც და ჟესტურსაც) წარმართავს აზროვნება და აქ გვაქვს მჭიდრო ორმხრივი ურთიერთკავშირი. პირველ შემთხვევაში ენობრივ სისტემას აყალიბებს აზრი და ბგერა ან ასო, მეორე შემთხვევაში კი – აზრი და კინემა, ანუ მოძრაობა.

ყრუთა თემების წევრები უმეტეს შემთხვევებში ბილინგვიზმით ხასიათდებიან. სამეტყველო ენებისგან განსხვავებით ჟესტური ენები მინიმალიზებულია. ლაკონიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა ნებისმიერი ჟესტური ენისთვის. თუმცა, იმასაც უნდა ხაზი გაესვას, რომ ჟესტური ენები განიცდიან სამეტყველო ენების გარკვეულ გავლენებს. მაგრამ ჟესტური ენების სისტემური რაციონალიზმი და შინაგანი ენობრივი ლაკონიზმი მაინც არ იძლევა სრული კალკირების საფუძველს. საერთოდ, ჟესტური ენების ორი ძირითადი ტიპი არსებობს – დამოუკიდებელი და შესაბამისი სამეტყველო ენიდან კალკირებული.

აღსანიშნავია, რომ ჟესტურ ენებში ყურადღება ექცევა ჟესტის სირბილეს და ელასტიურობას ისევე, როგორც კეთილხმოვანება გახლავთ საყურადღებო ფაქტორი სამეტყველო ენებისთვის.

ჟესტური ენის ლექსიკური ერთეულების ხშირად პანტომიმურია ან იკონური.




გადახურვა – სახურავის დაფარება, სახურავის დადგმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გა-

შლილი თითებით, ხელები რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ერთმანეთის მიმართულებით და ბოლო ფაზაში ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება თითების წვერებით. შესტი სრულდება მხრების დონეზე.

სხეულის ნაწილები, როგორც წესი, მითითებულია:




ბარძაყი – ადამიანის ფეხის ნაწილი თეძოსა და მუხლისთავს შუა

შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი ‘ადამიანი’ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი

თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-შესტი ‘ფეხი’ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ქვევით დაშვებული ხელი წინ და უკან განმეორებადი მოძრაობით ეხება ფეხს. შესტი წარმოდგენილია მხრებისა და ბარძაყის დონეზე.

ზოგჯერ წარმოდგენილია მთავრი ლექსიკური ერთეული, რომელსაც ერთვის ფორმის გამომხატველი იკონური ერთეული:



ბაკი – ავზი, დახურული ჭურჭელი სითხის შესანახად

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი ‘წყალი’ – ერთხელიანი,

დინამიკური სიტყვა-შესტი ‘წყალი’ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თით-

თებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ფორმა – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, წრიულად მოხრილი თითებით და ზევით მიმართული ცერებით გამოსახულია ღია წრეები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. შესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

გარკვეულ ფორმებში ხდება შინაარსის ორმაგი მონოდება ან იმავე ლექსემის სემანტიკური დაზუსტება:




გამუდმებით – მუდამ, განუწყვეტლივ, ნიადაგ

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი ‘მუდამ’ – მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული

ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი ‘ხშირად’ – მხრების დონეზე წინ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ტალღური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

ფორმისა და დამაზუსტებელი შესტების გარდა, ქართულ შესტურ ენაში გამოიყოფა რამდენიმე აფიქსური ტიპის მანარმოებელი:

- ინტენსივობის მანარმოებელი ‘ძალიან’:



გადაჭარბება – მეტისმეტად გადიდება, გაზვიადება, გადამეტება
 ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი

‘შესრულება’ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი ‘გადაჭარბება’ / ‘ძალიან’ – მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითი გამოსახვენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- დანიშნულების მანარმოებელი:



სასწავლო – სწავლისათვის განკუთვნილი, სწავლასთან დაკავშირებული, სწავლისა
 ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი

‘სწავლა’ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, შუბლის წინ სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მე-

ორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'დანიშნულება' – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.


- ადამიანის ხელობის (საქმიანობის) აღმნიშვნელ ჟესტთა მანარმოებელი 'ადამიანი':



ავტორი – პირი, რომელიც ქმნის რამეს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი 'წერა' – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

მოქალაქე – ვისაც ან რასაც მოსვენებით




ყოფნა არ შეუძლია, დაუდევარი, დაუდგრომელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ქალაქი' – ზევით მიმართუ-

ლია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩანეულია შუათითი, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და შუა თითით ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

- ქონების მითითებითი მანარმოებელი 'ეს':



ბარაქიანი – ბარაქის მქონე, ხვავრიელი, უხვი, დოვლათიანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ბარაქა' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს და წინ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითით, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

წარსული დროის მიმდებობების მანარმოებელი 'უკვე':




მიღებული – რაც მიიღეს, აღებული, გამორთმეული

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მიღება' –

ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელი ზევით მოძრაობს სინქრონულად და


ბოლო ფაზაში თითები მუშტადაა შეკრული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'უკვე' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



გაბედული – თამამი, მამაცო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გაბედვა' / 'გმირი' – ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'უკვე' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- ნამყო დროის მიმღეობების მანარმოებელი სიტყვა-ჟესტი 'გადაქცევა' / 'გარდაქმნა':




გაბოროტებული – გაავეებული, გა-

ბრაზებული, გამწარებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ბოროტი' – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია

საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა. შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'გადაქცევა' / 'გარდაქმნა' – ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- მანარმოებელი 'პატარა':



ბარტყი – გარეული ფრინველის მართვე

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-შესტი 'ჩიტი' - ხელისგული მიმართულია

სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია ნეკი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, გაშლილი თითები ეხება პირს; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-შესტი 'პატარა' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთთან შეტყუპებული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით. შესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

- სუფიქსური მანარმოებელი 'მრავალფეროვნება':



აგრარული – მინათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამი-

კური სიტყვა-შესტი 'სოფელი' – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მა-

რცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მრავალფეროვნება' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'დანიშნულება' – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი სუფიქსური მანარმოებელი გვაქვს მოცემული.

- აბსტრაქტულობის მანარმოებელი:




მკვლელობა – სიცოცხლის მოსპობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მოკვლა' – მარჯვნივ

მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ასრულებს რკალური ტრაექტორიის მოძრაობას ქვევით და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მოვლენა' – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.


- უარყოფითი ფორმების მანარმოებელი სუფიქსური 'არა':



გადაგვარება – შეცვლა, დეგრადირება

რთული შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი


სტი 'ხასიათი' – ერთმანეთს ეხება გაშლილი საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი ეხება მკერდს მარცხენა მხარეს, სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ცნობა' – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული ვერტიკალზე და ერთმანეთზეა გადაჭდობილი; ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, უარყოფითი სიტყვა-შესტი 'არა' – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



მოუცლელი – ვინც მოცლილი არ არის, დაკავებული (საქმით)

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'დრო' – ხელისგული ფართოდ გაშლილი თითების რხევით მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება ნიკაპს; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'არა' – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. შესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

- უარყოფითი ფორმების მანარმოებელი სუფიქსური 'ვერა':




მიულწველი – რასაც ვერ მიაღწიეს, რის

მიღწევაც შეუძლებელია

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მიღწევა' – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი

და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენას და მასთან ერთად ზევით გადაადგილდება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ვერ' – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

- უარყოფითი ფორმების მანარმოებელი სუფიქსური 'გარეშე':




ათეიზმი – ურწმუნოება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'ლმერთი' – შუბლზე მიდებულა მუშტად შეკრული ხელი წინ მიმართული ხელისგულით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი,

ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გარეშე' – ზევით მიმართული მარცხენა გაშლილი ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელის თითები გარეთ მიმართული რკალური მოძრაობით უარყოფას გვიჩვენებს. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

- უარყოფითი ფორმების მანარმოებელი პრეფიქსური 'გარეშე':



ზრუნველი – ვინც არაფერზე ზრუნავს, ვისაც საზრუნავი არა აქვს, უდარდელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'გარეშე' – მარცხენა ხელის-

გული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრექტორიით; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ზრუნვა' – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ზევით აღმართული და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- უარყოფითი ფორმების მანარმოებელი სუფიქსური სიტყვა-შესტი 'სიცარიელე' / 'არა':




უგულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძნობელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-შესტი 'გული' – ხელისგული გაშლილი

თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩანეული შუა თითი ეხება მკერდს; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'სიცარიელე' / 'არა' – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

- უარყოფითი ფორმები ზოგჯერ სხვა ტიპის ლექსიკური საშუალებებითაც ინარმოება ყოველგვარი უარყოფითი ლექსიკური ერთეულების დართვის გარეშე:




მოუდრეკელი – დაუმორჩილებელი, გაუტეხელი, შეუდრეკელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-შესტი 'გული' – სხეულისკენ მიმართუ-

ლია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩანეული შუა თითით ხელი ეხება მკერდს; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'მაგარი' / 'მყარი' / 'უდრეკი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ირიბ ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს სინქრონულად და ეხება ერთმანეთს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

შესტური ლექსიკური ერთეულები უმეტესწილად კომპოზიტურია. გვაქვს სამეტყველო ენის პარალელური ტიპის კომპოზიტური შესტ-წარმოება:



ბიძაშვილი – ბიძის შვილი, მამის ან დედის ძმის შვილი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი

'ბიძა' – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საფეთქელთან სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამი-


კური სიტყვა-ჟესტი 'შვილი' – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება რკალური ტრექტორიით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.

სიტყვა-ჟესტთა შინაარსის უკეთ გასააზრებლად ხშირად მისი სემანტიკის ახსნა ხდება. ქართული ჟესტური ენის ლექსემური წარმოებისათვის გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:



ბავალო – წმინდა ოქრო, რომელსაც მონთალო ფერი გადაჰკრავს რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური

სიტყვა-ჟესტი 'ყვითელი' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ნეკები მსუბუქად ეხება ერთმანეთს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ოქრო' – ქვევით მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, საჩვენებელი თითი წინ იშლება და იკეცება რამდენჯერმე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ბედისწერა – განგება, ხვედრი, იღბალი, ბედის წინასწარ განსაზღვრულობა ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ბედი' – ხელი მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, საჩვენებელი თითი ჯვარს გამოსახავს შუბლზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური

სიტყვა-ჟესტი 'უბედური შემთხვევა' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბელადი – მემამბოხეთა ჯგუფის წინამძღოლი, მებრძოლთა მეთაური ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული,

დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გმირი' – ხელისგულები ქვევითაა მიმართული შეკრული მუშტებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით მიემართება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მთავარი' – ზევით განთავსებულია სხეულისკენ მიმართული მარჯვენა ხელი მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულ მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ბერი – სასულიერო პირი, რომელსაც ყველაზე მკაცრი ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი

'მღვდელი' – ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ოვალურად მოხრილი ხელი ნიკაპთანაა განთავსებული, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სი-

ტყვა-ჟესტი 'მარტოობა' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



ბიბლიოთეკა – წიგნთსაცავი, დაწესებულება, სადაც საზოგადოებრივი სარგებლობისათვის თავს უყრიან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'წიგნი' – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელი განმეორებად მოძრაობას ასრულებს მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'თარო' – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



ბინა – ცალკე საცხოვრებელი სადგომი შენობაში, სახლი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული,

სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'სახლი' – ხელისგულები გაშლილი თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ხელები ერთმანეთს თითების წვერებით ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული,

დინამიკური სიტყვა-ფესტი 'ოთახი' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით მარცხენა ხელისგულზე მიდებული მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული. ფესტი სრულდება მხრების დონეზე.




აბჯარი – იარალი, სამხედრო აღჭურვილობა

ორნაწილიანი ფესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ფესტი 'რკინა' – ხელისგულები მი-

მართულია სხეულისკენ, ორივე ხელის კონფიგურაციაა გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელის თითებს; ფესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ფესტი 'ტანსაცმელი' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუებულია ოთხი თითი, ზევით აწეულია ცერები, ხელები მსუბუქად ეხება სხეულს, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ფესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ბიულეტენი – მოკლე ოფიციალური ცნობა ავადმყოფობის შესახებ ორნაწილიანი, დინამიკური ფესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ფესტი 'ავად ყოფნა' – მარჯვენა



ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ზევით-ქვევით მოძრაობს და ზევიდან ეხება გაშლილი და ქვევით მი-


მართული მარცხენა ხელისგულის ზედაპირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი 'ფურცელი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი – ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



ბიუჯეტი – ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფოს, ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ფული' – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გეგმა' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელი გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას: ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მი-

მართული და გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელის-გულს. შესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ბლანკი – 1. ქალაღდის ფურცელი, რომლის თავზეც დაბეჭდილია დანესებულების ან ფირმის რეკვიზიტები; 2. ნაბეჭდი ფურცელი (ტრაფარეტი), რომლის ცარიელ ადგილებს ავსებენ სათანადო ჩანაწერებით


ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-შესტი 'ფურცელი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ბეჭედი' / 'ემბლემა' – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. შესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



ბნედა - ავი ზნე, ეპილეფსია, ქრონიკული ნერვული დაავადება, დამახასიათებელი შეტევებით, კრუნჩხვით


ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-შესტი 'აზრი' / 'გონება' – ხელისგული მიმართუ-

ლია ქვევით, შუბლს ეხება გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'დაკარგვა' – ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.




მინდობილობა – საბუთი, რომლითაც ესა თუ ის პირი სხვას მიანდობს თავის ნების, სურვილის ან მოვალეობის ასრულებას

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ნდობა' – სხეულისკენ მიმართულია წინ განეული მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გადაცემა' – ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.




მისამართი – ადგილი, ზუსტი ადგილსამყოფელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-შესტი 'სახლი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ქუჩა' – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ მოძრაობს მარცხენა ხელის გასწვრივ. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



აკუსტიკა – 1. ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ბგერას. 2. სმენადობის ხარისხი ამა თუ იმ შენობაში

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'დახურული' – გაშლილი ხელისგულები წინაა მიმართული, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს გარე ნახევარ-წრეზე; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'სინყნარე' – ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი, ერთმანეთთან მიტყუპებული და ქვევით დახრილია თითები, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




ალილუია – 'აქებდეთ ღმერთსა' მღვდელმსახურებაში სხვადასხვა ლოცვის ბოლოს მისამღერი სიტყვა.

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'სიხარული' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ზევით აწეული ცერებით, ხელები ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ამაღლება' – გაშლილი ხელისგულები ზევითაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ალუმინი – ჭედადი, მსუბუქი ლითონი ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'რკინა' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით და მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'დრეკადი' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, მუშტად შეკრულია ხელები, ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ბოლოდროინდელი შესტნარმოება ძირითადად აღწერილია:



ათინათი – ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოტანებული სინათლის სხივი, არეკლილი, ათამაშებული სინათლის (მზის, მთვარის) სხივი

რთული შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-შესტი '(დახურულის) გაღება' – წინ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ჭუჭრუტანა' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითით იხაზება წრე, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მომდევნო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, ბოლო ფაზაში გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი. შესტი სრულდება სახისა და მხრების დონეზე.

ქართულ შესტურ ენაში ლექსიკური ერთეულები, შესაძლოა, იყოს ერთ- ან ორკომპონენტისანი, მაგრამ ხშირია სამკომპონენტისანი ფორმებიც. შედარებით იშვიათია ოთხ- და ხუთკომპონენტისანი ფორმები. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართული ყრუთა თემი შესტნარმოებისას ძირითადად ეყრდნობა სიტყვის სემანტიკის ვიზუალურ მხარეს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ლექსიკური

ერთეულების წარმოებისათვის გამოყენებულია აფიქსური დერივაციული ფორმები და წმინდა კომპოზიციური წყობაც. ამდენად, ნათელია, რომ ქართული ჟესტური ენის ლექსიკური ფონდი ფორმათწარმოების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bazoev, Vladimir. Plamenni, Viktor. „*Chelovek' iz mira t'ishini*“ A man from the world of silence. «Академкнига» Москва. 2002

Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture*. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991

Davidenko, Tatiana, and Komarova, Ana. „*K'rat'k'i ocherk' po lingvist'ik'e Russkogo jestovogo iazik'a*“ (A short article about Russian Sign Language) In 'Sovremennie aspek't'i jestovogo iazik'a“ Ed. by Ana Komarova. Moscow, 2006 pp.146-161

Elaine Costello. *American Sign Language Dictionary*. Random House Webster's. NY. 1994

Geilman I.F. *Gesture Languages of Friendship*. Volume II. Saint-Petersburg. 2003

Costello, Elaine. 1994. *American Sign Language Dictionary*. Random House. NY

Gregory, Susan. *The language and culture of deaf people: Implications for education*. *Language and Education* 6: 1992. pp.183-197.

Unlike spoken languages, where sequential processes are preferred, morphological processes in sign languages are mostly simultaneous. In a simultaneous morphological operation, meaningful units are not added as new segments but rather changing the signs, and simultaneous operations affect the morpho-phonological, lexical and semantical levels changing the hand-movement patterns. Affixation is uncommon in sign languages. However, some sign languages have the affix systems. Usually these affixes are manual signs, although some scientists argue that in some cases facial expressions – mimics might be considered as affixes in sign languages.

In order to be recognized as a morphological affix, it must meet a few criteria: A sign must be delexicalized and grammaticalized, which means that lexical meaning is faded; A sign must be erosive; It must have a fixed position; A sign should have a clear morphosemantic meaning – adding this sign should add specific semantics to the word.

The presented paper describes the most common nominal affixes in Georgian Sign Language (GESL), which is an original natural language

of local Deaf and Hard of Hearing people. In the nominal morphology of GESL some derivational affixes were revealed, and they are quite productive. These are the affixes for nominal negation and other affixes, producing the different lexical-semantic content. Because GESL is not standardized, the place of these affixes sometimes changes. However, the processes of their delexicalization and grammaticalization are quite clear. The GESL nominal affixes are very productive. Thus, GESL nominal morphology shows sequential and simultaneous morphological processes at the same time.

Key words: affixes, morphology, nouns, GESL (Georgian Sign Language), sign languages

Unlike spoken languages, where sequential processes are preferred, morphological processes in sign languages are mostly simultaneous. 'In a simultaneous morphological operation, meaningful units are added not by adding segments but rather changing them' [1:81]. Simultaneous operations – changing the hand-movement patterns affect morpho-phonological and lexical-semantic hierarchical levels. Affixation is uncommon in sign languages. However, some sign languages have the affix systems. Usually these affixes are manual signs, although some scientists argue that in some cases facial expressions – mimics might be considered as affixes in sign languages [2:827]. In my opinion, this position can be accepted at least in those sign languages, where mimic is grammatically functional, but not for manual-dominant sign languages like Georgian Sign Language (GESL).

The presented paper describes the most common nominal affixes in GESL, which is an original natural language of local Deaf and Hard of Hearing people. The processes of affixation in sign languages have been studied by number of linguists [3-9]. In my previous papers I described the criteria for morphological affix in sign languages:

- A sign must be delexicalized and grammaticalized as well, which means that lexical meaning is faded;
- A sign must be erosive, which means having changes in dynamics or maybe two-handed sign becomes one-handed;
- A sign must have a fixed position, which means being fixed before another sign or after another sign;
- A sign should have a clear morphosemantic meaning - adding this sign should add specific semantic to the word [10-13].

Like many other sign languages, GESL has negative affixes for nominal negation. They can be the negative particles such as *no/not* or some other signs of negation. In GESL, along with the negative particles, for nominal negation two affixes are used: *without* and *empty*. As we can see in the examples below, these signs are delexicalized in the process of grammaticalization.



Fig. 1. Colorless [10].

The sign on Figure 1 consists of two parts *without* (W) and *color*. It is noteworthy that the nominal negators do not have the fixed place, and they may appear before or behind the lexical sign. The same types of examples are the following: *no right* (W+ *right*), *inanimate* (W + *breathing*), *carefree* (W + *care*), *sadness-free* (W + *sadness*), *restless* (*death* + W), *airless* (W+ *air*), etc.




Fig. 2. Penniless [10].

The sign on Figure 2 (*Penniless*) has two parts: *money* and *empty* (E). The same kind sign-production can be found in the following examples: *barefoot* (*feet* + E), *robbed* (*robber* + E), *bomber/destroyed* (*bombing/destroying* + E), *torn / turned into pieces* (*turning* + E), etc.




Fig. 3. Heartless [10].

The first part for the sign on Figure 3 is a body-anchored deictic sign *heart* and the second part is *empty*, which is another synonymic version

of the sign (E), shown in the examples above. Interestingly, these two negative synonyms both can produce the negative forms of adjectives and participles from nouns.

The two-handed symmetric dynamic sign *variety* (SV) appears at the end of lexical sign and stands as a derivational sign.




Fig. 4. Fruit [10].

The first part of this composite sign (*fruit*) is *apple* and the second part is SV – *variety*. The same principle appears in composite signs such as *crockery* (*plate* + SV), *agrarian* (*village* + SV), *trifle* (*tiny/small/insignificant* + SV), etc.

The sign with possessive-destination meaning (DS) follows the lexical sign and produces a new word, which shows for whom or what it is intended or appointed (Makharoblidze-Archvadze 2022).



Fig. 5. Agency [10].

The sign on Fig. 5, *agency* consists of two parts: (*agent* + DS). The same model is used in the following signs: *intended to write* (*sats'eri* in spoken Georgian) *write* and DS, *painting material* (*saxat'avi* in spoken Georgian) (*paint* + DS), *for combat* (*war* + DS), *Asian* (*Asia* + DS), *advertising* (*advertisement* + DS), *problematic* (*problem* + DS), etc.

The sign for *human/person* is often used as an affix in many sign languages. For example, in American Sign Language (ASL), this is an agent suffix, that is added to assign to produce a profession, role or identity. The same function it has in GESL. Although this sign is different form ASL same lexeme. In GESL it is one-handed sign, while in ASL it is two-handed symmetrical sign.



Fig. 6. Poet [10].

The sign on Figure 6 is *poet*. It consists of *poem* and *human* (H). This affix appears in the following signs: *painter* (*paint* + H), *writer* (*write* + H), *architect* (*architecture* +H), *singer* (*song* + H), etc. It is noteworthy, that H always follows the mean lexical sign.

GESL is not standardized, and as we have seen above, the place of the above-mentioned affixes may vary in signing process, but these affixes show clearly the processes of delexicalization and grammaticalization, and they are very productive in GESL. Thus, GESL nominal morphology shows the sequential and simultaneous morphological processes at the same time.

Acknowledgment

This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology]

References:

- Meir I. (2012) Word classes and word formation. In: Pfau R., Steinbach M. & Woll B. (eds.), *Sign Language – An International Handbook*. Berlin, Boston: De Gruyter Mouton: 77-112. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Janzen T. (2012) Lexicalization and Grammaticalization. In: Pfau R., Steinbach M. & Woll B. (eds.), *Sign Language – An International Handbook*. Berlin, Boston: De Gruyter Mouton: 816-841. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>
- Brinton J. & Traugott E. 2005. *Lexicalization and Language Change*. Cambridge: Cambridge University Press.
- Bybee J. (2003) *Cognitive Processes in Grammaticalization*. In: Tomasello M. (ed.), *The New Psychology of Language. Cognitive and Functional Approaches to Language Structure*. Vol. 2. Mahwah, New Jersey & London: Lawrence Erlbaum: 134-167.
- Diewald G. (2011) Grammaticalization and pragmaticalization. In: Narrog H. & Heine B. (eds.), *The Oxford Handbook of Grammaticalization*. Oxford: Oxford University Press.
- Haspelmath M. (2004) On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. In: Fischer O., Norde M & Perridon H. (eds.), *Up and down the Cline 2 The Nature of Grammaticalization*. Amsterdam: Benjamins: 17-44.
- Hopper P. (1991) On Some Principles of Grammaticization. In: *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*. Eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine. Amsterdam: Benjamins: 149-187.
- Hopper P. & Traugott E. (2003) *Grammaticalization*. 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press.
- Wilcox Sh. (2007) Routes from Gesture to Language. In: Elena Pizzuto E., Pietrandrea P. & Simone R. (eds.), *Verbal and Signed Languages:*

Comparing Structures, Constructs and Methodologies. Berlin: Mouton de Gruyter: 107-131.

Makharoblidze T. (2015) Georgian Sign Language Dictionary. Tbilisi: Ilia State University Press.

Makharoblidze T. (2012) Georgian Sign Language. Ministry of Education and Science, USAID, Save Children International. Tbilisi.

Makharoblidze T. (2019) GESL verbal morphology. Tbilisi: Ilia State University Press.

Makharoblidze T. & Archvadze T. (2022). On morphosemantics of the Destination Sign in GESL. *Kadmos*, (13). Ilia State University. Tbilisi: 63-95.

ყველაზე მეტად გავრცელებული სახელური აზიქსები ქართულ ჟესტურ ენაში

(რეზიუმე)

სალაპარაკო ენებისგან განსხვავებით, სადაც მიმდევრობით პროცესებს ანიჭებენ უპირატესობას, ჟესტურ ენებში მორფოლოგიური პროცესები უმეტესად თანადროულია. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ფუნქციური მორფოლოგიური ერთეულები შემოდის არა სეგმენტების დამატებით, არამედ მათი შეცვლით. ჟესტურ ენებში თანადროული მორფოლოგიური ოპერირება ხდება ხელის მოძრაობის ცვლილებებით ენის მორფოფონოლოგიურ დონეზე და ეს გავლენას ახდენს ჟესტის ლექსიკურ-სემანტიკურ პლანზეც. ზოგადად, ჟესტურ ენებში აფიქსაცია იშვიათია. თუმცა, ზოგიერთ ჟესტურ ენას მაინც გააჩნია აფიქსური სისტემა. ჩვეულებრივ, ეს აფიქსები არის მანუალური ჟესტები, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სახის გამომეტყველება ანუ მიმიკა შეიძლება ჩაითვალოს აფიქსებად რიგ ჟესტურ ენებში, სადაც მიმიკას აქვს გრამატიკული ფუნქცია.

მორფოლოგიურ აფიქსად რომ იყოს აღიარებული ჟესტი, ის რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს დელექსიკალიზებული და გრამატიკალიზებული, რაც ნიშნავს, რომ ჟესტის ლექსიკური მნიშვნელობა გაცვეთილია; ჟესტი უნდა იყოს ეროზიული; მას უნდა ჰქონდეს ფიქსირებული პოზიცია; ასევე მას უნდა ჰქონდეს მკაფიო მორფოსემანტიკური მნიშვნელობა – ამ ჟესტის დამატებამ სიტყვას კონკრეტული სემანტიკა უნდა შემატოს.

ნარმოდგენილი ნაშრომი აღწერს ყველაზე გავრცელებულ ნომინალურ აფიქსებს ქართულ ჟესტურ ენაში (GESL), რომელიც ადგი-

ლობრივი ყრუ და სმენადაქვეითებული პირების ორიგინალური ბუნებრივი ენაა. ქართული ფესტური ენის სახელთა მორფოლოგიაში გამოვლინდა ზოგიერთი დერივაციული აფიქსი, რომლებიც საკმაოდ პროდუქტიულია. ეს არის ნომინალური უარყოფის აფიქსები და ასევე სხვა სემანტიკის აფიქსები. ამ ტიპის აფიქსი დაერთვის სახელის გამომხატველ ფესტს და წარმოქმის განსხვავებულ ლექსიკურ-სემანტიკურ შინაარსს. იმის გამო, რომ ქართული ფესტური ენა არ არის სტანდარტიზებული, ამ აფიქსების ადგილი ზოგჯერ იცვლება, თუმცა მათი დელექსიკალიზაციისა და გრამატიკალიზაციის პროცესები საკმაოდ ნათელია. უნდა აღინიშნოს, რომ სახელური აფიქსები ძალიან პროდუქტიულია ქართულ ფესტურ ენაში. ამრიგად, ამ ენის სახელთა მორფოლოგია აჩვენებს თანმიმდევრულ და თანადროულ მორფოლოგიურ სისტემურ პროცესებს ერთდროულად.

ტერმინთა შესახებ

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ წერილობითი მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ჩატარებული ლინგვისტიკური კვლევებით დგინდება, რომ ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არსად მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი. ამდენად, ლინგვისტიკური კვლევების დროს ძირითადად ენის წყაროებს – ყრუ პირების ჟესტურ მეტყველებას ვეყრდნობით. ქართულ ჟესტურ ენასთან დაკავშირებული ისტორიული ან დიაქრონიული მსჯელობა, ცხადია, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ზემოთ მოხსენებულ მიზეზთა გამო.

სხვა ჟესტური ენების მსგავსად, ქართულ ჟესტურ ენაში სიტყვაწარმოება, ანუ ჟესტწარმოება, უნდა განხილული იქნეს, როგორც გარკვეული სახის შემოქმედებითი პროცესი. საგულისხმოა, რომ ამ ენის მომხმარებლებს არ ჰქონდათ რიგი სიტყვების მოხმარების საჭიროება და, შესაბამისად, არც არსებობს ენაში ასეთი სიტყვები (მაგალითად, *ეგ ზიტენციალიზმი, კუბიზმი, დადაიზმი, გავეშებული, განარნარებული, გასისინებული, ნინინი, პოლიფონია* და სხვ.) დრო და ეპოქა, ასევე ყრუთა თემის შემდგომი განვითარება ითხოვს ახალი სიტყვა-ჟესტების წარმოქმნას. განსაკუთრებით კი პრობლემურია ტერმინთა წარმოქმნა ამ ენაში. როგორც ყველა ბუნებრივი ენა, ჟესტური ენებიც უნდა იცავდნენ ტერმინშემოქმედების იმ სავალდებულო ნორმებს, რაც ასე მნიშვნელოვანია ზოგადად ტერმინოლოგიისათვის. არსებობს აპრობირებული მოდელები და ეს მოდელები წარმატებით გამოიყენება ჟესტური ენების ტერმინების შესაქმნელად. სასურველია ამ


მულტიპროფესიული მოდელების დანერგვა ქართული შესტური ენის ტერმინთა წარმოებისას.

სამწუხაროდ, ტერმინების შექმნისა და გამოყენების საკითხები ქართულ შესტურ ენაში საკმაოდ რთულად დგას რიგ გარემოებათა გამო. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემაში მომუშავე არაკომპეტენტური ჩინოვნიკების 'მეცნიერული ძიებები' ძალიან აზიანებს ამ ენას. გრანტებსა და ფულს გამოკიდებული ადამიანების არასერიოზული მოღვაწეობა ქართულ შესტურ ენას უქმნის დიდ საფრთხეს: ეს ბუნებრივი ენა, შესაძლოა, ცოტა ხანში კოპირებად ენად იქცეს და მაშინ, ცხადია, მის მიმართ ყოველგვარი მეცნიერული ინტერესი დაიკარგება. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ უმეტეს შემთხვევაში არაპროფესიული ლინგვისტიკური აქტივობები ენის ლექსიკურ დონეს ეხება. ამ მხრივ, არც ქართული შესტური ენაა გამონაკლისი.

ქართული შესტური ენის მომხმარებელთა შორის არ იყო სათანადო მოთხოვნა და ამდენად, როგორც მოსალოდნელია, არც იყო განვითარებული გარკვეული ტიპის ლექსიკა და არც სათანადო ტერმინები. ბოლო პერიოდში ყრუთა აქტივობა საკმაოდ მაღალია საქართველოში და შესაბამისად, დგება ახალი ტერმინების შექმნის საკითხი ქართულ შესტურ ენაში. შესტუმომოქმედებითი პროცესი კი საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, რომელზედაც წარმოდგენა არა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ირჯებიან ამ კუთხით. ეს მოკლე აღწერაა არსებული სამწუხარო ვითარებისა. ზემოთ გამოთქმული პოზიცია და ჩემი ნუხილი არის განპირობებული რეალური საფრთხით, რაზეც უკვე მოგახსენეთ – ენისადმი ამგვარი არაპროფესიული მიდგომით, ეს ენა გადაინაცვლებს კოპირებადი ენების ჯგუფში.

როგორი უნდა იყოს შესტუმომოქმედებითი სამუშაოების მოდელი? აქ სასურველია ამერიკული გამოცდილების გაზიარება, თუმცა ყველა კონკრეტული შესტის შესაქმნელად კონკრეტული კვალიფიციური სამუშაოებია ჩასატარებელი. ამერიკული გამოცდილება კი მოიაზრებს დარგობრივი სპეციალისტების, ყრუთა და სათანადო პროფილის ენათმეცნიერების ერთობლივ სამუშაოებს.


2015 წელს ყრუთა ჯგუფთან მუშაობის პროცესში მე გამოვავლინე ენაში არსებული ტერმინები, რაც უკავშირდებოდა არჩევნების თემატიკას და გამოვეცი 'ქართული შესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი'. მოგიყვანთ მაგალითებს ამ ლექსიკონიდან:



აბონენტი

აბონენტი – აბონემენტის მქონე პირი


პირველ ნაწილში მოცემულია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'გადახდა' – ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილი თითებით და ზემოთ აწეული ცერით მარჯვენა ხელი ზემოდან ედება გაშლილ მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ცერისა და საჩვენებელი თითის წვერები ბოლო ფაზაში ერთმანეთს ეხება; მეორე ნაწილში წარმოდგენილია სიტყვა-შესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერითა და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



აბონემენტი

აბონემენტი – საბუთი, რომელიც რამეთი სარგებლობის უფლებას იძლევა

ორნაწილიანი, ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა: მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, შეტყუებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მრავალფეროვნება' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული ხუთი თითი თანმიმდევრული რხევით მოძრაობს, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



აგიტატორი

აგიტატორი – პირი, ვინც აგიტაციას ეწევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'აგიტაცია' – ხელისგულები ქვევითაა

მიმართული, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორჯერ სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



ადმინისტრაცია

ადმინისტრაცია – აღმასრულებელი ორგანო ან ჯგუფი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ხელმძღვანელი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები სხეულისკენ მოძრაობს სინქრონულად; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'უფროსი' – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზემოთ აწეული ცერით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




ანკეტა

ანკეტა – გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი ფურცელი
 რთული შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სი-
 ტყვა-შესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი
 ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი
 თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; შესტის
 მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შეს-
 ტი 'პიროვნება' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გა-
 შლილი და წინ მიმართული თითებით, ჩაკეცილი ცერებით, ორივე
 ხელებით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; შესტის ბოლო
 ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ჩამო-
 წერა' – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი ეხება გაშლილი თითე-
 ბის წვერებს, ხელები ქვევით ეშვება სპირალური ტრაექტორიით. შეს-
 ტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.



არჩევანი


არჩევანი – არჩევის უფლება-შესაძლებლობა, არჩეული რამ ან ვინმე ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'თვითონ' – სხეულისკენ და ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მკერდს ეხება ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'არჩევანი' – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



არჩევნები

არჩევნები – წარმომადგენლების ან თანამდებობის პირთა ხმის მიცემით არჩევა


ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ და წინაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ყუთი

ყუთი – ოთხკუთხი სათავსი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარცხენა ხელი ზევითაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



სტრატეგია

სტრატეგია – 1. ომის მომზადებისა და წარმოების, სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 2. მიზნის მისაღწევი ხერხების ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გეგმა' – ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და

საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და გაშლილი თითებით ხელი ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მომავალი' – გაშლილი და წინ მიმართული თითებით ხელისგული მიმართულია მარცხნივ, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



მეთვალყურე – თვალ-ყურის მდევნელი, ზედამხედველი, მეთვალთვალე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მეთვალყურე' / 'თვალყური' – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ადამიანი' – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.

საყურადღებოა, რომ ქართული ჟესტურ ენაში დერვანტი აფიქსების გამოყოფაც არის შესაძლებელი. მაგალითად ფორმაში 'მეთვალყურე' კომპოზიციის მეორე ნაწილია 'ადამიანი'.



ადამიანი

ადამიანი – მოაზროვნე ცოცხალი არსება

ერთხელიანი, დინამიკური, ჟესტი, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახავენ ღია წრეს, ხელი ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე.

ეს ჟესტი როგორც დერვანტი აფიქსი ხშირად გამოიყენება ხელობის სახელებში ვინ კატეგორიის აღსანიშნად. ტერმინოლოგიურ ფორმებში ამ მასალაში ასევე შესაძლებელია დანიშნულების აფიქსის გამოყოფაც (მახარობლიძე, არჩვაძე), საკონსულო, სარწმუნო და სხვ.



საკონსულო

საკონსულო – ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლობა კონსულის მეთაურობით სხვა სახელმწიფოს რომელიმე ქალაქში

ორნაწილიანი ყესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ყესტი 'კონსული' – მარჯვნივ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ყესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ყესტი 'დანიშნულება' – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ყესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



სარწმუნო

სარწმუნო – დასაჯერებელი, დამარწმუნებელი, ნამდვილი, მართალი

ორნაწილიანი ყესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ყესტი 'სანდო' – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ყესტის მეორე ნაწილია ორხელიანი,

სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'დანიშნულება' – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

გამოიყოფა აფიქსი 'მრავალფეროვნება'. მაგალითად ჟესტში 'აგრარული' მეორე წევრი არის ეს აფიქსი.



აგრარული

აგრარული – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'სოფელი' – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'მრავალფეროვნება' – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი 'დანიშნულება' – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აფიქსები დერივაციული

აფიქსებია. აქ წარმოდგენილია ფესტებიდან ჩანს, როგორ ცდილობს ენა, ახსნას ფორმა. ეს ხდება უმეტესად კომპოზიციით. ასეთი მიდგომა ზოგადად მისაღებია ფესტური ენებისთვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ რაც მაღალია ამ თუ იმ ყრუთა თემის წევრების განათლების დონე, მით უფრო მაღალია მათი ენობრივი აბსტრაქციის უნარი. ასეთ საზოგადოებაში იქმნება არა მხოლოდ იკონური და იდეოგრამული ფესტები, არამედ მაღალი ლინგვისტიკური აბსტრაქციით ყალიბდება კინეტიკა ახალი ფორმების წარმოსაქმნელად. სამწუხაროდ, ჯერ საკმაოდ შორსა ვართ ამგვარი პოზიციიდან.

ვფიქრობ, რომ ქართული ფესტური ენის ტერმინთა წარმოება, სასურველი იქნება, თუ ქართული ენის ტერმინოლოგიური ქოლგის ქვეშ აღმოჩნდება. აქვე გასათვალისწინებელი იქნება ამ ენისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებები და, ცხადია, სავალდებულო უნდა იყოს სათანადო ლინგვისტიკური კვალიფიკაცია ფესტური ენის ტერმინოლოგიაზე მომუშავე ადამიანებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლექსიკონი 2015 – თამარ მახარობლიძე, ქართული ფესტური ენის ლექსიკონი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მახარობლიძე 2005 – თამარ მახარობლიძე, დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია (ქართული და ბასკური ენების მასალა), ნეკერი, თბილისი.

მახარობლიძე 2012 – თამარ მახარობლიძე, ქართული ფესტური ენა, თბილისი.

მახარობლიძე 2015 – თამარ მახარობლიძე, ქართული ფესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი, აშშ საელჩო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Bybee 2003 – Joan Bybee, Cognitive Processes in Grammaticalization. 145-167 In: *Cognitive and Functional Approaches to Language Struc-*

ture. Vol. 2 of *The New Psychology of Language*. Ed. Michael Tomasello.: Lawrence Erlbaum, Mahwah, NJ.

Haspelmath 2004 – Martin Haspelmath, On Directionality in Language Change with Particular Reference to Grammaticalization. 17-44. In: *Up and down the Cline 2 The Nature of Grammaticalization*. Eds. Olga Fischer, Muriel Norde and Harry Perridon. Benjamins, Amsterdam.

Hopper 1991 – Paul Hopper, On Some Principles of Grammaticization. 149-187. In: *Focus on Theoretical and Methodological Issues*. Vol. 1 of *Approaches to Grammaticalization*. Eds. Elizabeth Closs Traugott and Bernd Heine. Benjamins, Amsterdam.

Janzen 2012 – Terry Janzen, Lexicalization and Grammaticalization. 816-841. In: *Sign Language – An International Handbook*. Eds. Roland Pfau, Markus Steinbach and Bencie Woll. Berlin, Boston: De Gruyter Mouton. doi: <https://doi.org/10.1515/9783110261325>

Wilcox 2007 – Wilcox Sherman, Routes from Gesture to Language. 107-131. In: *Verbal and Signed Languages: Comparing Structures, Constructs and Methodologies*. Eds. Elena Pizzuto, Paola Pietrandrea and Raffaele Simone. Mouton de Gruyter, Berlin.

Terminological issues in GESL

(Summary)

Materials or any historical sources on the origin of the Georgian sign language (GESL) are not available today. It is a natural language, but sign languages are languages of oral communication and obviously, no textual records are obtained. Neither corpus of this language (GESL) has yet been created. Thus, during linguistic studies, we mainly rely on language sources – the knowledge of the native sign language of local deaf people. Historical or diachronic reasoning related to GESL is obviously associated with certain difficulties for the reasons mentioned above.

Like other sign languages, word-sign production in GESL should be considered a certain kind of creative process. It is significant that the users of this language had no need to use a number of words, and therefore, there are no such words in the language. But time, as well as the further development of this local deaf community, demands the creation of new words/signs. The formation of terms in this language is especially problematic for a number of reasons, it is mainly related to the lack of education among Deaf community members. Like all natural languages, sign languages must follow the mandatory norms of terminology, which are so important for terminology in general. In sign languages, there are proven models (one is used for ASL – American Sign Language terminology). These models have been successfully used to create terms for sign languages. It is desirable to implement these multi-professional models in the working process to produce any kind of terms in GESL.

The issues of creating and using terms in GESL are quite difficult due to a number of circumstances. In particular, it should be noted that the ‘scientific researches’ of incompetent officials working in the education system are very damaging to this language. GESL may become copied / calqued from spoken Georgian, and in this case, of course, all scientific interest in this language will be lost. It is important to emphasize that in most cases non-professional linguistic activities refer to the lexical level of the language. In this regard, GESL is no exception.

In 2015, in the process of working with a group of deaf people, I identified the terms in GESL that were related to the topic of the elections and published the ‘Georgian Sign Language Election Dictionary’.

It must be said that the ability to produce new terms with high linguistic abstraction mostly depends on the level of education of deaf community members. A well-educated deaf community is able to create not only iconic and ideographic signs, but more complicated and abstract signs. Unfortunately, the local deaf community is still quite far from such a position.

In my opinion, it would be desirable if GESL terminology falls under the terminological umbrella of the Georgian language in terms of language policy in general. Here, the specific circumstances of this language should be taken into account and, of course, it should be mandatory for people working on GESL terms to have the appropriate linguistic qualification.


ზედსართავი სახელი

ქართული ჟესტური ენა ზედსართავი სახელების განსაკუთრებული დიდი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ცხადია, ამ ენაში არის ძირითადი ზედსართავი სახელები (იხ. მახარობლიძე 2012, გვ. 510-576).



ხელმისაწვდომი – რაზედაც ხელი მიუწვდებათ, ადვილად მოსაპოვებელი ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ზედა ფალანგებში მოხრილი თითები და ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ქართულ ჟესტურ ენაში ასევე გვაქვს მიმლეობები, რომლებიც ზედსართავის ფუნქციით გვევლინებიან წინადადებაში.



გამწვანებული – 1. მწვანედ შეფერილი, 2. მცენარეებით დაფარული

როული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'ახალგაზრდა/' 'მწვანე' – ხელისგული მიმართულია წინ და მარცხნივ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი ეხება ლოყას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'აღმოცენება' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ხელისგულები ერთმანეთს ეხება და სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'დარგვა' – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერი ეხება გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



სახელგატეხილი – ვისაც სახელი გაუტყდა, ვისაც ცუდი სახელი აქვს, სახელშერცხვენილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'სახელი' – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია მარცხენა ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელზე მხოლოდ საჩვენებელი თითია გაშლილი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან და ეხება მარცხენა ცერს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გატეხვა' – მუშტად

შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

წარსული დროის მიმღეობები ყველაზე უფრო გავრცელებულია ფორმებია თვისების გადმოსაცემად ზედსართავებთან ერთად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ წარსული დროის მიმღეობებს ძირითადად აწარმოებს დერივაციული აფიქსი 'უკვე', რომელიც დაერთვის ძირითად ლექსიკურ ნაწილს. მაგ., *გატეხილი = გატეხვა+უკვე, შეღებილი = შეღებვა+უკვე, გაყვითლებული = გაყვითლება//ყვითელი +უკვე* და ა.შ. თავისთავად, ეს ძალიან საინტერესო საკითხია, რადგანაც ამდაგვარი ფორმები (როდესაც ისინი ზმნურ ნაწილს შეიცავენ) ომონიმურია ზმნის პერფექტულ ფორმებთან. *შეღებვა+უკვე* 'შეღებილის' პარალელურად ასევე ნიშნავს ფორმას 'შეღებ(ვ)ა' ფორმის პერფექტულ ვერსიას. ენობრივი ანალიზისას რთულდება კონკრეტული დეფინიცია და ძნელი სათქმელია, ესა თუ ის ფორმა მიმღეობაა თუ ზმნის პერფექტული ფორმა. ეს საკითხი უკავშირდება ამ ზემოთ ხსენებული დერივანტის ('უკვე') ფართო სემანტიკურ ველს, რომლის ძირითადი სემანტიკური არსი არის უკვე მომხდარი, ანუ წარსული დროის მოქმედების გადმოცემა. თავისთავად, წარსული დროის მიმღეობაც არის უკვე ჩადენილი აქტი. მხოლოდ წინადადების სრული კონსტრუქციის ანალიზი იძლევა პასუხს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზმნასთან გვაქვს საქმე თუ მიმღეობასთან. ეს გარემოება (სხვა ამდაგვარ მოვლენებთან ერთად) განაპირობებს ჟესტური ენების მორფოლოგიურ თავისებურებებს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მეტყველების ნაწი-

ლების გამიჯვნის პრობლემებს შესტურ ენებში. ჩვენ ადრე ვისაუბრეთ იმ სირთულეზე, რაც ზოგადად ახლავს ზმნისა და სახელის გამიჯვნას შესტურ ენათა მორფოლოგიებში (მახარობლიძე 2019).

ზედსართავი სახელის ანალიზისას მნიშვნელოვანია კლასის კატეგორიის გააზრება. უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორია მსოფლიოს თითქმის ყველა შესტურ ენაში აქტიურია ზედსართავებთან. მაგალითად, იხილეთ ფორმები *გამხდარი ცხოველი* და *გამხდარი ადამიანი*:



გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ცხოველი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური შესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, ხელები ერთმანეთს ეხება, სრულდება გან-

სვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ადამიანი

ერთხელიანი, დინამიკური შესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. შესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

ასევე კლასის მიხედვით განსხვავებულია ფორმა 'მაღალი' (იხ. მახარობლიძე 2012, გვ. 529-530)


სახელთა უარყოფითი ფორმები ძირითადად უქონლობის ფორმებია და ესენი იწარმოება უარყოფითი სუფიქსებით 'გარეშე' და 'ცარიელი':



უგულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძნობელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-შესტი 'გული' – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხე-


ულისკენ, ქვევით ჩანეული შუა თითი ეხება მკერდს; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'სიცარიელე' / 'არა' – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



უნიჭო – ვისაც ნიჭი არა აქვს

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'გარეშე' – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხე-

ლისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ნიჭი' – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება თავს. შესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



უსაქმო – უსაქმური, ზარმაცა

ორნანილიანი ჟესტის პირველი ნანილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'გარეშე' – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნანილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'საქმე' – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ქვევით ჩანეული შუა თითებით, ხელები ქვევით მოძრაობს სინქრონულად და ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ფართოდ გაშლილი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ბოლო ორ მაგალითში უარყოფითი მანარმოებელი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი. ეს გამომწვეულია ენის სტანდარტიზაციის უქონლობის გამო. აღსანიშნავია, რომ ზმნებში გვხვდება უარყოფითი ნანილაკები 'არ(ა)' და 'ვერ(ა)', ხოლო სახელებში ზემოთწარმოდგენილი ნეგაციის დერივაციული აფიქსებით ხდება უარყოფითი ფორმების წარმოება.


რაც შეეხება ზედსართავის სახელის ხარისხის ფორმებს, ქართულ ჟესტურ ენაში არ არის ხარისხის მანარმოებელი აფიქსები და შესა-

ბამისად, არ გვაქვს ხარისხის მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა, ცხადია ენაში არის წარმოდგენილი ლექსიკური ხარისხი, რასაც აწარმოებს სიტყვა-ფესტები 'ოდნავ' და 'ძალიან'. (იხ. მახარობლიძე 2012, გვ. 559-560)



ცოტა, ოდნავ – მცირე რაოდენობა

ერთხელიანი, დინამიკური ფესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითის წვერი განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ფესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ძალიან – ძლიერ, ძალზე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფესტი, მარჯვენა ხელის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები

შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითები და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ზევიდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული. ფესტი სრულდება მკერდის დონეზე.

ეს ზემოთ წარმოდგენილი ორი ფესტი 'ოდნავ' და 'ძალიან' დაერთვის ზედსართავ სახელს და ლექსიკური საშუალებით აწარმოებს ხარისხის ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ზედსართავის ხარისხის წარმოების თვალსაზრისით, ქართული ფესტური ენა არ არის რაიმე სახის გამონაკლისი, სამეტყველო ენების დიდ რაოდენობას აქვს ასე-

თი დეფიციტი და უჭირს ხარისხის დერივაციული მორფოლოგიური კატეგორიის წარმოება. ამიტომ ეს ენებიც, ქართული ჟესტური ენის მსგავსად, მიმართავენ ლექსიკურ საშუალებებს.

ზედსართავი სახელის ძირეული ფორმების გასაცნობად იხილეთ ვიდეო ლექსიკონები, ეწვიეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საიტს <https://gesl.iliauni.edu.ge/glossary-cat/zedsarthavi-sakheli/>

ნაცვალსახელი

2012 წელს გამოცემულ წიგნში 'ქართული ჟესტური ენა' მე დეტალურად მიმოვიხილე ამ ენაში არსებული ნაცვალსახელები (გვ. 244-288) და სისტემურად შევუპირისპირე ეს ფორმები ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ ფორმებს. უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ზოგადად ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ გვაქვს და ეს არის დეიქტიური ფორმები. მართლაც, თუ დავაკვირდებით ქართული ჟესტური ენის მონაცემებს, პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები მანუალური ან მზერითი მითითებითი ფორმებია. ეს ზოგადად არის საერთო მოცემულობა ჟესტური ენებისთვის. ენობრივი ლოგიკა აქ სავსებით ნათელია. აღსანიშნავია, რომ ასევე მითითებითია სომატური ლექსიკაც არსებით სახელებში. თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ადგილი აქვს სხეულის ნაწილების მითითებას. ამრიგად, ამ ენებში ერთნაირად იქნება წარმოდგენილი 'ფეხი', 'გული', 'მუხლი', 'თავი', 'თვალი', 'ცხვირი', 'პირი' და ა.შ.

მე – აღნიშნავს მოლაპარაკეს



ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სხეულისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს, ცხადია, მოსალოდნელი ფორმაა და თითქმის ყველა ჟესტურ ენაში ასე გამოიყურება. ამავე ტიპისაა მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელებიც. მესამე პირის ნაცვალსახელებს შეუძლიათ განას-

ხვაგონ სივრცის სამგანზომილებიანი მოდელი: ეს-ეგ-ის, როგორც ეს წარმოდგენილია ქართულ ენაში.



ამ /ეს – ნაცვალსახელი, მიუთითებს პირველ პირთან ახლო მყოფ საგანზე

ერთხელიანი, სტატიკური შესტი, ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად.

შესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ეგ – პირის ან ჩვენებითი ნაცვალსახელი (მეორე პირთან ახლოს მყოფი)

ერთხელიანი, სტატიკური შესტი, ზევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით. შესტი სრულდება მკერდის დონეზე.



ის – მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელი

ერთხელიანი, სტატიკური შესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

საგულისხმოა, რომ ქართული შესტური ენა (მსგავსად სხვა მრავალი შესტური ენისა) არ განასხვავებს კლასის ან სქესის კატეგორიებს ნაცვალსახლებში. ამის ფონზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქართული შესტური ენა, როგორც სამგანზომილებიანი სისტემა, სივრცითი მარკირების ხაზგასმას ანიჭებს უპირატესობას.

ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი მანუალური და არამანუალური ფორმებით. არამანუალური ფორმა ძირითადად მოიაზრებს შესაბამისი ჟესტის მიმიკურ ვერსიას. ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს შეიძლება ასევე იყოს მზერიტი ჟესტი. აქედან გამომდინარე გვაქვს ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები:

1. მანუალური ფორმები, როდესაც პირის ნაცვალსახელები დეიქტიური ფორმებია;
2. მიმიკური ფორმები, როდესაც სახის მიმიკა გამოხატავს კონკრეტულ ნაცვალსახელს;
3. მზერიტი ფორმები, როდესაც თვალის მიმართულება უჩვენებს კონკრეტულ პირს. ეს ფორმაც არის დეიქტიური თავის ბუნებით.

ამ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ვერსიიდან მათი კომბინაციებით ვიღებთ კიდევ შემდეგ ორწევრიან შესაძლებლობებს:

4. მანუალური და მიმიკურის კომბინაცია;
5. მანუალური და მზერიტის კომბინაცია;
6. მზერიტი და მიმიკურის კომბინაცია.

ასევე შესაძლებელია სამწევრიანი კომბინაციაც:

7. მზერიტი, მანუალური და მიმიკური ფორმების კომბინაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, პრაგმატიკა თავისი კანონებით კარნახობს კონკრეტულ ვერსიებს. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ შედარებით ნაკლებია ბოლო სამწევრიანი კომბინაციის გამოყენება, ასევე ნაკლებია მანუალურის და მზერიტის კომბინაციაც. ეს გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან: მზერიტი აქტანტის წარმოჩენა ხშირად ხდება კონკრეტული მოსაზრებებით, გარკვეული სახით აქტანტის დაფარვის

მიზნით. მანუალური ფორმა კი თავისი დეიქტიური ბუნებით პირდაპირი მითითებაა კონკრეტულ აქტანტზე. ამ ურთიერთგამომრიცხავი მიდგომების გამო შედარებით ნაკლებად გამოიყენება ეს ორი ფორმა ერთობლივად.

საინტერესოა ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები ქართულ შესტურ ენაში. ეს ხშირად კომპოზიტური ფორმებია:



ასეთი – როგორც ეს, ამგვარი, ამნაირი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ასე' – მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ხოლო მარცხენა – სხეულისკენ, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზურგით ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა საჩვენებელი თითი ზედ ადევს მარცხენა საჩვენებელ თითს; შესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-შესტი 'მსგავსების ნიშანი' – ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელზე გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, განზე განეული ხელები ერთმანეთს უახლოვდება და ეხება საჩვენებელი თითებით. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

საინტერესოდ გამოიყურება კუთვნილებითი ნაცვალსახელების სისტემა ქართულ შესტურ ენაში.



ჩემი – პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლოდობითი რიცხვისა, რაც მე მაქვს ან ვინც მე მყავს, რაც ან ვინც მეკუთვნის

ერთხელიანი, დინამიკური შესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი

მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ჩვენი – პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი: რაც ჩვენ გვაქვს ან ვინც ჩვენ გვყავს, რაც ან ვინც ჩვენ გვეკუთვნის

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'ჩემი' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'მრავლობითობის ნიშანი' – წინ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ბოლო

ფაზაში ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

მეორე პირში უკვე ჩნდება ე.წ. 'კუთვნილების ნიშანი':




თქვენი – მეორე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ერთხელიანი, დინამიკური შესტი, მარჯვენა ხელისგული ზემოთ და სხეულისკენაა მიმართული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი

თითები ზევით მიემართება, სრულდება მოძრაობა წინ. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

ეს კუთვნილების ნიშანი სისტემურია მესამე პირის ფორმებთან:



იმათი – მრავლობითი რიცხვის მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

ორნაწილიანი შესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-შესტი 'ის' / 'იგი' – ხელისგული მიმართულია

წინ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; შესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-შესტი 'კუთვნილება' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შესტურ ენებს აქვთ გარკვეული თავისებურება ნაცვალსახელების გამოყენებისას, კერძოდ, იგულისხმება პირობითი ადგილის მინიჭება. ყრუ პირები კომუნიკაციისას მესამე პირზე საუბრის შემთხვევაში (როდესაც ეს მესამე პირი არ იმყოფება

საკომუნიკაციო სივრცესთან) ამ პირს მიანიჭებენ პირობით ადგილს და შემდეგ საუბარში ამ პირის მოხსენიება ხდება მისთვის მინიჭებული სივრცით, ანუ მითითება ხდება იმ ადგილზე, სადაც პირობითად განისაზღვრა ამ პირის არსებობა. ქართული ჟესტური ენა ამ ხერხს შედარებით ნაკლებად იყენებს. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა თავისუფალი ნარატივების ვიდეო კრებული, რომელიც მოიცავს დაახლოებით 5 საათამდე მასალას. ვიდეოები შესრულებულია ეთიკის საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. მასალაში წარმოდგენილია თბილისის ყრუთა თემის სხვადასხვა ასაკისა და სქესის ყრუთა ოჯახებში დაბადებული და გაზრდილი ადამიანების ჟესტური კომუნიკაციის ნიმუშები.

Non-manual Arguments in Georgian Sign Language (GESL)

Tamar Makharoblidze & Ekaterine Nanitashvili. (2022) Non-manual arguments in GESL. In the book: Issues of Kartvelian Studies. Edited by Tamar Makharoblidze. Vernon Press, USA. 2022 pp.201-215

Abstract

This paper presents a brief overview of Georgian Sign Language (GESL) and its argument structure. GESL is an understudied natural language of the Georgian Deaf and Hard of Hearing community. Research of any unexplored sign language is an indispensable resource for linguists especially when this sign language deploys such interesting features as GESL. The presented article discusses the properties of argument structure and argument marking in GESL. Moreover, it

provides the theoretical approach that non-manuals, namely eye-gazing, could be integrated into the system of argument structure and it might be considered as a facial kinetic representation of a verbal person.

Key Words: Georgian Sign Language, GESL, Argument Structure, Eye gaze, Non-manuals, Verbal person

Introduction

- Makharoblidze T. (2015) *Georgian Sign Language Dictionary*. Tbilisi: Ilia State University Press.
- Makharoblidze T. (2012) *Georgian Sign Language*. Ministry of Education and Science, USAID, Save Children International
- Makharoblidze Tamar (2017) Concerning Some Issues of Mathematical signs in Georgian. *Journal Language and Culture*, vol. 18. A. Tsereteli State University. Kutaisi. pp. 51-58
- Meir, Irit, Wendy Sandler, Carol Padden & Mark Aronoff. 2010. Emerging sign languages. In Marc Marschark & Patricia Elizabeth Spencer (eds.), *Oxford handbook of deaf studies, language and education*, Vol. 2, 267–280. Oxford: Oxford University Press.
- Zeshan Ulrike, Cesar Ernesto Escobedo Delgado, Hasan Dikyuva, Sibaji Panda and Connie de Vos (2013) Cardinal numerals in rural sign languages: Approaching cross-modal typology. *Linguistic Typology*. De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/lity-2013-0019>

რიცხვითი სახელის შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში

ქართული ჟესტური ენა არის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ენა საქართველოში. მათი რიცხვი დაახლოებით 2 500-ს შეადგენს. ისინი ორენოვანი ხალხია, აქვთ ორი მშობლიური ენა: ქართული ჟესტური ენა და სალაპარაკო ქართული. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ ბილინგვური განთლება საქართველოში არსებულ ყრუთა სკოლებში.

რიცხვითი სახელი ყველა ენაში არის მორფოლოგიური რიცხვის, რიგის ან ნაწილის აღმნიშვნელი. შესაბამისად, რიცხვები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი. ქართული ჟესტური ენა იმეორებს ენების უნივერსალურ მიდგომას ზოგადად რიცხვის მიმართ. თითქმის ყველა ჟესტური ენა იყენებს თითების მოსალოდნელ კომბინაციებს რიცხვის წარმოსაჩენად და ეს განსაკუთრებით ეხება რაოდენობით რიცხვით სახელებს. ბევრ ჟესტურ ენაში 10-მდე რიცხვები თითქმის ერთნაირად გამოიყურება. ჟესტურ ენებში რიცხვითი მონაცემების უმეტესობა ლექსიკურად ემთხვევა სხვა ენების შესაბამის მასალას და ეს ძალიან აადვილებს კომუნიკაციას. სინამდვილეში, ეს ფაქტი მათემატიკურ ენას უნივერსალურს ხდის.

სალაპარაკო ენებში რიცხვები ყველაზე ფართოდ გამოკვლეულ ენობრივ სტრუქტურებს შორისაა. როგორც ცალკეულ ენებში, ასევე სხვადასხვა რანგის ტიპოლოგიურ გამოკვლევებში არსებობს უამრავი ხელმისაწვდომი მონაცემები სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ რიცხვითი სისტემები კარგად არის შესწავლილი ბევრ ჟესტურ ენაში. ენების ორივე მოდალობაში

– სალაპარაკოსა და შესტურში ტიპოლოგიური ან შედარებითი კვლევები, რომლებიც ციფრებსა და რიცხვით სახელებს განიხილავენ, მოიცავს ისეთი ავტორების ნაშრომებს, როგორიცაა ჰარფორდი (1975, 1987); კომრი (1997, 2005); გრინბერგი (1978); ბარიგა (1998); ჩინჩორი (1982); ფუნტესი, მასონე, ფერნანდეს-ვიადერი და მაკოტრინსკი (2010); ჯილი (2005); ჰანკე (2010); მეირი, სანდლერი, პადენი და არონოვი (2010); ზემანი (2013) და სხვები.

შესტურ ენებს აქვთ პენტაგრამური სისტემები, სადაც რიცხვი გადაიცემა ხელის თითებით და ეს ყველაზე მოსახერხებელი სისტემაა. სალაპარაკო ენები კი იყენებენ განსხვავებულ მოდელებს – ათობით ან ოცობით სისტემას (მაგალითად, სალაპარაკო ქართული ენა). სინამდვილეში, სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემის ოთხი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია:

- ათობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 10)
- ორობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 2)
- ოქტალური რიცხვების სისტემა (ბაზა 8)
- თექვსმეტობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 16)

ეს განსხვავება სალაპარაკო ქართულისა და ქართული შესტური ენის დათვლის სისტემებს შორის გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს სკოლებში ყრუ ბავშვებისთვის რაოდენობით რიცხვითი სახელის სწავლებისას.

ქართულ შესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა მრავალ შესტურ ენაში, რაოდენობითი რიცხვებისთვის არის შემდეგი მოდელი: ციფრების დათვლა ერთიდან ხუთამდე ხდება სხეულისკენ ორიენტირებული ხელისგულით. ექვსიდან ცხრამდე რიცხვებისთვის ხელისგული წინ არის

მიმართული გაშლილი ხუთი თითით, ხოლო მეორე ხელი (სხეულისკენ მიმართული ხელისგულით) უმატებს თითებს, როგორც ვხედავთ ქვევით მაგალითში 'შვიდი' – პირველ სურათზე:




სურ.1. შვიდი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური შესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს. შესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

სალაპარაკო და შესტურ ენათა შორის რიცხვით სახელებთან დაკავშირებული ძირითადი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: მოლაპარაკე ბავშვებმა უნდა დააკავშირონ ციფრები სიტყვებთან, ხოლო ყრუ და სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა უნდა დააკავშირონ სამი კონცეპტი: სიტყვა, ციფრი და შესტი.

ძალზე მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ ზოგადად შესტურ ენებს არ ახასიათებთ სემანტიკური მორფოლოგიისათვის ნიშანდობლივი აფიქსების სისტემა, თუმცა მორფემების და დერივაცი-

ული აფიქსების გამოყოფა მაინც ხერხდება ზოგ ჟესტურ ენაში. ქართული ჟესტური ენა ამ მხრივ განსაკუთრებულ სისტემას უჩვენებს (მახარობლიძე 2012, 2015, 2017). რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ხდება რიგის ნიშნის დართვით. ეს დერივანტი სუფიქსურია და აბსოლუტურად დელექსიკალიზებული აფიქსია.



სურ. 2 მეთერთმეტე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'თერთმეტი' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მომდევნო ფაზაში გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი 'რიგობა' – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი მარჯვნივ გადაადგილდება თითების რხევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

მეორე სურათზე წარმოდგენილია რიგობითი რიცხვითი სახელი (მეთერთმეტე) თავისი მანარმოებლით. ამავე ტიპის მანარმოებელია ფორმაში 'მესამე':



სურ.3 მესამე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ფართოდ გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ქვევით გადაადგილდება თითების რხევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე. (მახარობლიძე 2015)

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, რიგობითობის აფიქსის ორი ფორმაა ამ ენაში წარმოდგენილი. თუ კარგად დავაკვირდებით ამ აფიქსურ ჟესტებს, დავინახავთ, რომ ეს, ფაქტობრივად, ერთი აფიქსის ორი ვერსიაა, რადგანაც იგივე ჟესტია, შეცვლილია მხოლოდ თითების მიმართულება და მოძრაობის ტრაექტორია, ხოლო მორფო-სემანტიკა იგივეა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიცხვით სახელებს ზოგ ჟესტურ ენებში ახასიათებს ინკორპორაცია, ანუ შერწყმა არსებით სახელებთან. ამდგვარი შერწყმა ძირითადად ხდება დროის კატეგორიის გამომხატველ ფორმებში. ქართული ჟესტური ენაც უჩვენებს ამ ტიპის ინკორპორაციას – მხოლოდ ერთიდან ხუთამდე ‘წლის’ და ‘წუთის’ ლექსემებთან ხდება ეს ინკორპორაცია. მაგალითად ორი თითის კბილზე

განმეორებითი მიღება ნიშნავს – ‘ორი წლის’, სამი თითს სწრაფი გაშლა და ჩაკეცვა კი ნიშნავს ‘სამი წუთი’.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ფესტურ ენას აქვს სათანადო მორფო-ლექსიკური საშუალებები რიცხვითი სახელების სისტემის სათანადოდ გადმოსაცემად.

გამოყენებული ლიტერატურა:

მახარობლიძე თ. (2015) ქართული ფესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.

მახარობლიძე თ. (2012) ქართული ფესტური ენა. ტრენინგის სახელმძღვანელო. მესამე საფეხური, რვეული ტრენინგის მონაწილეებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USAID, Save The Children International. თბილისი

თამარ მახარობლიძე (2017) მათემატიკურ ნიშნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულ ფესტურ ენაში. ‘ენა და კულტურა - 18’ ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი. გვ. 51-58

Barriga Puente, Francisco. 1998. Los sistemas de numeración indo-americanos: Un enfoque areotipológico. Ciudad de México: Universidad Nacional Autónoma de México.

Chinchor, Nancy Ann. 1982. Morphological theory and numeral incorporation in American Sign Language. Providence, RI: Brown University doctoral dissertation.

Comrie, Bernard. 1997. Some problems in the theory and typology of numeral systems. In Bohumil Palek (ed.), Proceedings of LP’ 96. Typology: Prototypes, item orderings and universals, 41– 56. Praha: Charles University Press.

Comrie, Bernard. 2005a. Numeral bases. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 530–533.

Fuentes, Mariana, María Ignacia Massone, María del Pilar Fernández-Viader & Alejandro Makotrinsky. 2010. Numeral-incorporating roots

in numeral systems: A comparative analysis of two sign languages. *Sign Language Studies* 11. 55–75.

Gil, David. 2005. Distributive numerals. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 222–225.

Greenberg, Joseph H. 1978. Generalizations about numeral systems. In Joseph H. Greenberg (ed.), *Universals of human language*, Vol. 3: Word structure, 249–297. Stanford, CA: Stanford University Press.

Hanke, Thomas. 2010. Additional rarities in the typology of numerals. In Jan Wohlgemuth & Michael Cysouw (eds.), *Rethinking universals: How rarities affect linguistic theory*, 61–89. Berlin: De Gruyter.

Hurford, James R. 1975. *The linguistic theory of numerals*. Cambridge: Cambridge University Press.

Hurford, James R. 1987. *Language and number: The emergence of a cognitive system*. Oxford: Blackwell. Hymes, Virginia Dosch. 1955. Athapascan numeral systems. *International Journal of American Linguistics* 21. 6–45.

Meir, Irit, Wendy Sandler, Carol Padden & Mark Aronoff. 2010. Emerging sign languages. In Marc Marschark & Patricia Elizabeth Spencer (eds.), *Oxford handbook of deaf studies, language and education*, Vol. 2, 267–280. Oxford: Oxford University Press.

Zeshan Ulrike, Cesar Ernesto Escobedo Delgado, Hasan Dikyuva, Sibaji Panda and Connie de Vos (2013) Cardinal numerals in rural sign languages: Approaching cross-modal typology. *Linguistic Typology*. De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/lity-2013-0019>

On numerals in Georgian Sign language (GESL)

(Abstract)

Georgian sign language (GESL) is a language of Deaf and Hard of Hearing (DHH) people in Georgia. There are about 2 500 DHH in the country. They are bilinguals – having two native languages: GESL and spoken Georgian. Thus, they expect to have the bilingual education in schools.

Numerals in all languages are morphological denoting the number, order or part. Accordingly, numerals can be cardinal, ordinal or fractional/distributive. GESL repeats the universal approach of languages to number. Almost all sign languages use expected combinations of fingers to represent a number, and it concerns to cardinal numerals.

Sign languages have pentagram systems, a number is transmitted with the fingers of the hand and this is the most convenient system, while many spoken languages use decimal system or system of twenty – as spoken Georgian. Actually, in spoken languages the four most common number system types are:

- Decimal number system (Base 10)
- Binary number system (Base 2)
- Octal number system (Base 8)
- Hexadecimal number system (Base 16)

This difference between the counting systems of spoken Georgian and GESL must be carefully taken into account while teaching cardinal numerals to Deaf children in Georgia.

In general, sign languages are not characterized by a system of marking affixes of segmental morphology, although the separation of morphemes and derivational affixes still occur in some sign languages. GESL shows a special system in this respect. Ordinal numerals are produced by adding an ordinal sign, and this is a derivational suffix, which is a completely delexicalized affix.

Interestingly, GESL shows the numeral incorporation as well.

It is important that GESL has proper morpho-lexical means to convey the system of numerals.

Keywords: Georgian Sign Language, GESL, numerals, morphology, ordinal numerals, cardinal numerals, sign languages

რიცხვითი სახელის შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში (აბსტრაქტი)

ქართული ჟესტური ენა არის ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების ენა საქართველოში. მათი რიცხვი დაახლოებით 2 500-ს შეადგენს. ისინი ორენოვანი ხალხია და მათ აქვთ ორი მშობლიური ენა: ქართული ჟესტური ენა და სალაპარაკო ქართული. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ ბილინგვური განთლება საქართველოში არსებულ ყრუთა სკოლებში.

რიცხვითი სახელი ყველა ენაში არის მორფოლოგიური რიცხვის, რიგის ან ნაწილის აღმნიშვნელი. შესაბამისად, რიცხვები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი ან წილობითი. ქართული ჟესტური ენა იმეორებს ენების უნივერსალურ მიდგომას ზოგადად რიცხვის მიმართ. თითქმის ყველა ჟესტური ენა იყენებს თითების მოსალოდნელ კომბინაციებს რიცხვის წარმოსაჩენად და ეს განსაკუთრებით ეხება რაოდენობით რიცხვით სახელებს.

ჟესტურ ენებს აქვთ პენტაგრამური სისტემები, სადაც რიცხვი გადაიცემა ხელის თითებით და ეს ყველაზე მოსახერხებელი სისტემაა. სალაპარაკო ენები კი იყენებენ განსხვავებულ მოდელებს – ათობით ან ოცობით სისტემას (მაგალითად, სალაპარაკო ქართული ენა). ზოგადად, სალაპარაკო ენებში რიცხვითი სისტემის ოთხი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია:

- ათობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 10)
- ორობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 2)

- ოქტალური რიცხვების სისტემა (ბაზა 8)
- თექვსმეტობითი რიცხვების სისტემა (ბაზა 16)

ეს არსებული განსხვავება სალაპარაკო ქართულისა და ქართული ჟესტური ენის დათვლის სისტემებს შორის გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს სკოლებში ყრუ ბავშვებისთვის რაოდენობით რიცხვითი სახელის სწავლებისას.

ზოგადად ჟესტურ ენებს არ ახასიათებთ სეგმენტური მორფოლოგიისათვის ნიშანდობლივი აფიქსების სისტემა, თუმცა მორფემების და დერივაციული აფიქსების გამოყოფა მაინც ხერხდება ზოგ ჟესტურ ენაში. ქართული ჟესტური ენა ამ მხრივ განსაკუთრებულ სისტემას უჩვენებს. რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება ხდება რიგის ნიშნის დართვით. ეს დერივანტი სუფიქსურია და აბსოლუტურად დელექსიკალიზებული აფიქსია.

ქართული ჟესტური ენა გვიჩვენებს რიცხვითი სახელის ინკორპორაციასაც.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ ჟესტურ ენას აქვს მორფო-ლექსიკური საშუალებები რიცხვითი სახელების სისტემის სათანადოდ გადმოსაცემად

საკვანძო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, რიცხვითი სახელი, რაოდენობითი, რიგობითი, მორფოლოგია, ჟესტური ენები.

ქენტურ ენებში რიცხვითი სახელის ძირითადი ბიბლიოგრაფია

- Barriga Puente, Francisco. 1998. Los sistemas de numeración indo-americanos: Un enfoque areotipológico. Ciudad de México: Universidad Nacional Autónoma de México.
- Chinchor, Nancy Ann. 1982. Morphological theory and numeral incorporation in American Sign Language. Providence, RI: Brown University doctoral dissertation.
- Comrie, Bernard. 1997. Some problems in the theory and typology of numeral systems. In Bohumil Palek (ed.), *Proceedings of LP' 96. Typology: Prototypes, item orderings and universals*, 41–56. Praha: Charles University Press.
- Comrie, Bernard. 2005a. Numeral bases. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 530–533.
- Comrie, Bernard. 2005b. Endangered numeral systems. In Jan Wohlgemuth & Tyko Dirksmeyer (eds.), *Bedrohte Vielfalt: Aspekte des Sprach(en)tods*, 203–230. Berlin: Weißensee Verlag
- Fischer, Susan. 1996. By the numbers: Language-internal evidence for creolization. In William Edmondson & Ronnie B. Wilbur (eds.), *International review of sign linguistics*, Vol. 1, 1–22. Mahwah, NJ: Erlbaum.
- Fuentes, Mariana & Liliana Tolchinsky. 2004. The subsystem of numerals in Catalan Sign Language: Description and examples from a psycholinguistic study. *Sign Language Studies* 5. 94–117.
- Fuentes, Mariana, María Ignacia Massone, María del Pilar Fernández-Viader & Alejandro Makotrinsky. 2010. Numeral-incorporating roots in numeral systems: A comparative analysis of two sign languages. *Sign Language Studies* 11. 55–75.
- Gil, David. 2005. Distributive numerals. In Haspelmath et al. (eds.) 2005, 222–225.

- Greenberg, Joseph H. 1978. Generalizations about numeral systems. In Joseph H. Greenberg (ed.), *Universals of human language*, Vol. 3: Word structure, 249–297. Stanford, CA: Stanford University Press.
- Hanke, Thomas. 2010. Additional rarities in the typology of numerals. In Jan Wohlgemuth & Michael Cysouw (eds.), *Rethinking universals: How rarities affect linguistic theory*, 61–89. Berlin: De Gruyter.
- Hurford, James R. 1975. *The linguistic theory of numerals*. Cambridge: Cambridge University Press.
- Hurford, James R. 1987. *Language and number: The emergence of a cognitive system*. Oxford: Blackwell.
- Hymes, Virginia Dosch. 1955. Athapascan numeral systems. *International Journal of American Linguistics* 21. 6–45.
- Ichida, Yashiro. 2005. Nihonsyuwa no oninrontosusitaikei. [Phonology of the Japanese Sign Language number system.] *Sign Language Communication Research* 57. 9–17.
- Ktejik, Mish. 2013. Numeral incorporation in Japanese Sign Language. *Sign Language Studies* 13. 186–209.
- Makharoblidze T. (2015) *Georgian Sign Language Dictionary*. Tbilisi: Ilia State University Press.
- Makharoblidze T. (2012) *Georgian Sign Language*. Ministry of Education and Science, USAID, Save Children International
- Massone, Maria Ignacia & Robert E. Johnson. 1991. Numbers and numeral classifier suffixes in Argentine Sign Language. In *Equality and self-reliance: Proceedings of the XI World Congress of the World Federation of the Deaf, Japan, 2-11 July*, 743–762. Tokyo: Japanese Federation of the Deaf.
- McKee, David, Rachel McKee & George Major. 2011. Numeral variation in New Zealand Sign Language. *Sign Language Studies* 12. 72–97. Brought to you by | Max-Planck-Gesellschaft - WIB6417
- Meir, Irit, Wendy Sandler, Carol Padden & Mark Aronoff. 2010. Emerging sign languages. In Marc Marschark & Patricia Elizabeth Spencer

(eds.), Oxford handbook of deaf studies, language and education, Vol. 2, 267–280. Oxford: Oxford University Press.

- Skinner, Robert. 2007. A typological analysis of British Sign Language number variations. London: Birkbeck College, University of London, MA thesis.
- Yang, Junhui (forthcoming). Numeral signs and compounding in Chinese Sign Language (CSL). In Ulrike Zeshan & Keiko Sagara (eds.), *Semantic fields in sign languages: Colour, kinship and quantification*. Berlin: De Gruyter Mouton; Nijmegen: Ishara Press
- Zeshan Ulrike, Cesar Ernesto Escobedo Delgado, Hasan Dikyuva, Sibaji Panda and Connie de Vos (2013) Cardinal numerals in rural sign languages: Approaching cross-modal typology. *Linguistic Typology*. De Gruyter Mouton. <https://doi.org/10.1515/lity-2013-0019>

დაქტილური ანბანი

ყრუთა თემები შესტური ენით ურთიერთობისას დაქტილურ (თითების) ანბანს გამოიყენებენ საკუთარი არსებითი სახელების გადმოსაცემად და ასევე ამა თუ იმ სიტყვის დასაკონკრეტებლად და დასაზუსტებლად. დაქტილური ანბანი წარმატებით გამოიყენება მანუალური მეტყველებისას. ბაგეების მოძრაობის წაკითხვისას მაყურებელ-კომუნიკატორ პირს მანორალურად მოსაუბრე ეხმარება სიტყვის სწორად გაგებაში (დავიდენკო და კომაროვა, 2006:148). დაქტილურ-კონტაქტური მეტყველება არსებითად განსხვავდება დერმოგრაფიისგან, რაც გულისხმობს ხელისგულზე ასოების წერას. ურთიერთობის ამ ფორმას (დერმოგრაფიას) გამოიყენებენ უსინათლო ყრუები (ანუ უსმინათლოები), რომლებიც აგრეთვე იყენებენ ე. წ. ტაქტიკურ ანბანს, სადაც ხელის მტევნისა და თითების განსაზღვრულ უბნებზე შეება აღნიშნავს კონკრეტულ ასოებს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დაქტილური ანბანის გამოყენება ხდება შესტური ენის ზეპირი და არა წერილობითი კომუნიკაციისას. ამდენად, დაქტილური ანბანის გამოყენების ფორმა და ადგილი განსხვავებულია ნებისმიერი სამეტყველო ენის ანბანისაგან. დაქტილური ანბანი არ არის შესტური დამწერლობის ფორმა. შესტური დამწერლობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, აქ გამოიყენება ე.წ. ნოტაცია - ეს არის ტექსტის ჩანერა შესტური სისტემით.

შესტური ენა ხელის ერთი კონკრეტული პოზიციით ან მოძრაობით ასახავს ერთ ლექსიკურ ერთეულს მაშინ, როდესაც დაქტილურ ანბანში ხელის ერთი კონკრეტული პოზიცია ან მოძრაობა მხოლოდ ერთი ასოს გამომხატველია. მსოფლიოში სულ არსებობს 40 დაქტილური

ანბანი. საერთოდ, ყველა დაქტილური ანბანი შეძლებისდაგვარად იმეორებს შესაბამისი სამეტყველო ენის ანბანის გრაფიკას. ერთი და იგივე დაქტილი, შესაძლოა, სხვადასხვა ანბანში სხვადასხვა დაქტილემას წარმოადგენდეს. ეს გარემოება, სავარაუდოდ, გამონვეულია ორი მიზეზით:

1. დაქტილური ანბანი ახდენს თავისი სამეტყველო ანბანის კალკირებას და შედეგად მიიღება დაქტილის ფორმები, რომელიც გრაფემათა შესაბამისად მეორდება.

2. ცალი ხელით დაქტილირებისას, ცხადია, შეზღუდულია დაქტილემების წარმოების შესაძლებელი ვარიანტების რაოდენობა. ეს შეზღუდულობა განსაკუთრებით აშკარაა გრაფემათა უსაზღვრო რაოდენობის ფონზე.

ვ. გეილმანის მიხედვით არსებობს ანბანთა საკლასიფიკაციო სამი კრიტერიუმი.

1. შემადგენლობის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ცალი ხელის მოძრაობაზე გათვლილი, როგორიცაა მაგალითად, რუსული, ამერიკული და ქართული;

B. ორხელიანი – ასეთი ანბანია ბრიტანული, ორხელიანი ანბანი აქვთ ავსტრალიელებსა და სამხრეთ აფრიკის მრავალი ქვეყნის ყრუ ხალხებს;

ჩ. შერეული ტიპის, როგორიცაა იტალიური ანბანი.

2. მეორე კრიტერიუმი განისაზღვრება დამუშავების მეთოდის მიხედვით. ანბანი შეიძლება იყოს:

A. მინიშნებადი;

B. კოპირებადი;

ჩ. კომბინირებული ანუ შერეული ტიპის.

3. მესამე კრიტერიუმია აღნიშვნის პრინციპი. ამ კრიტერიუმის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ასოებითი;

B. სილაბური, როგორცაა იაპონური და კორეული, ისევე როგორც მათი ორივე ამოსავალი ანბანი;

ჩ. შერეული ტიპის (გეილმანი, 1981).

მე შევცვალე და გავაფართოვე ვ. გეილმანის მიერ შემოთავაზებული დაქტილირების ხუთი წესი:

1. 'მიღებულია, რომ დაქტილირება იყოს წარმოდგენილი ცალი ხელით (მარჯვენა ან მარცხენა);

2. დაქტილირება უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და თანაბრად;

3. დაქტილირებისას იდაყვში მოხრილი ოდნავ წინ წაწეული ხელი მხრების დონეზეა და ხელისგული მოსაუბრისკენ აქვს მიმართული;

4. მოქმედი პირი დაქტილირებასას მოსაუბრეს სახეში უყურებს;

5. თითები წარმოქმნიან დაქტილებს დაქტილირების წესების შესაბამისად' (გეილმანი, 2003:25)


საინტერესოა ის გარემოება, რომ რუსმა მეცნიერმა გეილმანმა ჩემი სტატიის (T. Makharoblidze. 2013. The Georgian Dactyl Alphabet. Disability studies Quarterly. DSQ, Vol. 33, No.3 2013 <http://dsq-sds.org/article/view/3318>) გამოქვეყნების შემდეგ 2016 წელს 10 წესი ჩამოაყალიბა და ძირითადად იმეორებს ამ წესებს, თუმცა რატომღაც არ უთითებს ამ ნაშრომს.

მე შევცვალე გეილმანის შემოთავაზებული დაქტილირების ხუთი წესიდან პირველი, გავითვალისწინეთ რა ორხელიანი ანბანის შემ-

თხვევები. ამოვიღეთ ბოლო წესი და დავამატეთ ექვსი ახალი წესი. საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ დაქტილირების 10 წესი:

1. ერთხელიანი ანბანის შემთხვევაში მიღებულია, რომ დაქტილირება იყოს წარმოდგენილი ცალი ხელით (მარჯვენა ან მარცხენა);
2. დაქტილირება უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და თანაბრად;
3. დაქტილირებისას იდაყვში მოხრილი ოდნავ წინ წაწეული ხელი მხრების დონეზეა და ხელისგული მოსაუბრისკენ აქვს მიმართული;
4. მოქმედი პირი დაქტილირებასას მოსაუბრეს სახეში უყურებს;
5. ენის ორთოგრაფიული ნორმების დაცვა (მაგალითად, სიტყვა 'თბილისს' ორი 'ს' ექნება. შესაბამისად, ეს დაქტილემა უნდა გამეორდეს);
6. დაქტილირებული სიტყვის ბოლოს უნდა გაკეთდეს პაუზა;
7. დაქტილირებისას სიზუსტე უნდა იქნეს დაცული პაუზებში. დაქტილი უნდა იყოს მკაფიო, კარგად გამოკვეთილი ფორმის მქონე მცირე პაუზებით წარმოდგენილი, ხოლო სიტყვათა შორის პაუზა უფრო დიდი უნდა იყოს;
8. დაქტილირებას თან ახლავს არტიკულაციური ფონი სახის მიმიკით;
9. დაქტილირებასას მაჯა (მარჯვენა ხელის) მარცხნივ მოძრაობს;
10. შეცდომის შემთხვევაში სიტყვა თავიდან მეორდება მთლიანად. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული ჟესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას, რამდენადაც თემის აქტიური წევრების უმრავლესობა არაქართული წარმოშობის იყო და არც არსებობდა არანაირი სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის წიგნი საკუთრივ ქართული ჟესტური ენის შესახებ. რუსული ენობრივი დომინანტის კვალი

ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ქართული დაქტილური ანბანი, რომელიც დღემდე გამოიყენება თემის წევრების მიერ, ცხადია, იმეორებს რუსულს. აქ მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე განსხვავებული ასოა დამატებული.



რუსული დაქტილური ანბანი ქართული დაქტილური ანბანი (ძველი)

ყრუთა თემთან ინტენსიური მუშაობის შედეგად მათთან ერთად ჩვენ შევქმენით ახალი ქართული დაქტილური ანბანი. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პირველი ქართული დაქტილური ანბანი. უპირველეს ყო-

ვლისა, ჩვენ შევიმუშავეთ თეორიული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული დაქტილური ანბანის შექმნას.

პირველ რიგში გამოიკვეთა ძირითადი პრინციპები:

1. ანბანში არ უნდა იყოს ერთმანეთის მსგავსი ან იდენტური დაქტილები;

2. დაქტილი უნდა იყოს მარტივი დინამიკის;

3. საერთოდ, მიღებულია მარჯვენა ხელით დაქტილირება, მაგრამ დაქტილი უნდა იყოს მარტივად შესასრულებელი მარჯვენა და მარცხენა ხელით; დაქტილური ანბანი სარკისებრ ასიმეტრიულ დაქტილებს ქმნის და მარჯვენა ხელით დაქტილირებისას მოსაუბრე პირი ასახავს ასოებს თავისი პოზიციიდან, ხოლო მარცხენა ხელით დაქტილირებისას მაყურებელი ანუ დიალოგის მონაწილე მეორე კომუნიკატორი პირის პოზიციიდან ხდება ასოების ასახვა.

4. სასურველია, თუ დაქტილი გაიმეორებს თანამედროვე ქართული ანბანის გრაფიკას;

5. უპირატესობად ჩაითვლება, თუ მხოლოდ სამი თითია დაქტილის ძირითადი მონაწილე. აქ გათვალისწინებულია ხელისა და თითების ფალანგების მოსალოდნელი ფიზიკური ნაკლოვანებანი;

6. ორხელიანთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ერთი ხელით შესასრულებელ დაქტილს;

7. შერეული ტიპის (ერთ- და ორხელიანი ანაბნი) არ მიიჩნევა წარმატებულ სისტემად და სასურველია ასეთი დაქტილების შექმნისთვის თავის არიდება;

8. შესაძლებლად ვცანით პარალელური დაქტილების დაშვება. ანბანის განვითარებისა და დახვეწის შემდგომ პროცესში უკეთ გამოიკვეთება ამა თუ იმ დაქტილემის საბოლოო ბედი.

ახალი ქართული დაქტილური ანბანი არის ცალი ხელის, დამუშავების მეთოდის მიხედვით შერეული ტიპის და აღნიშვნის პრინციპის მიხედვით ასოებითი (არასილაბური) ფორმის. ამ ანაბნის შექმნისას შევეცადეთ, უმეტესწილად იოლი დინამიკის დაქტილებზე ყოფილიყო აქცენტი.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანბანის დადებითი მხარეებია:

1. ორიგინალური, მკაფიო და მარტივი ფორმები;

2. ქართულ გრაფემებსა და იდეოდაქტილებზე ორიენტირებული დაქტილები; რიგი ასოებისა მიუყვება ქართულ მხედრულ ანბანს – ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, მ, ნ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ჭ. რამდენიმე ასო იმეორებს ასომთავრულის მოხაზულობას – თ, კ, ყ. ზოგი დაქტილი კი მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს შესაბამისი ასოს კოპირებას - ნ, ლ, რ ჰ;

3. ზოგი დაქტილმა გარკვეულ ფონეტიკურ ინფორმაციასაც შეიცავს; მაგალითისთვის განვიხილოთ ა დაქტილი, რომელიც ანბანთა უმეტესობაში არის მუშტის ფორმის. ასევე იყო ის ძველ ქართულ დაქტილურ ანბანშიც, რომელიც რუსულს იმეორებდა. ფონეტიკური ნიშნით ხმოვანი არ უნდა იყოს შეკრული ფორმის დაქტილი. მაგრამ ეს ღია ვარიანტი მხოლოდ ჩვენი ალტერნატიული ფორმაა ამ დაქტილისთვის. ამ ეტაპზე ყრუთა თემმა არჩია ძველი დაქტილის დატოვება (შესაძლოა, სხვა დროს თემი კიდევ დაუბრუნდეს ამ საკითხს განსახილველად). ეს პირველი ნიშანი ბევრ ენაში საერთოა და, გარკვეული თვალსაზრისით, ყრუთა ერთიანობასაც მოიაზრებს.

ჩემ მიერ შემოთავაზებულ ქართულ ანბანში ღიაობისა და დახურულობის ფონეტიკური ნიშნებიც გათვალისწინებულია. ამ ანბანში ხუთივე ხმოვანში დაცულია ღიაობის ფონეტიკური პრინციპი. ხშულობის ფონეტიკური ნიშნების მატარებლებია – ბ, გ, დ, მ, ნ, ს, ჰ;

4. იდეოგრამული ხასიათის დაქტილები ითვალისწინებს ქართული კულტურული სივრცისთვის კარგად ნაცნობ მახასიათებელ ელემენტებს: კ

- კარგი, ნ - ნეკი, პ - პირჯვარი, ჯ - ჯვარი, ხ - ხელი, ყ - ყურები, ც - ცეკვა. ემოციურ-სენსიტიური ფორმაა ჟ - მოკრუნჩხული თითები;

5. შემოთავაზებულ ანბანში არ არის ერთამენტის მსგავსი ან მცირედი სხვაობის მქონე დაქტილები. თითოეული დაქტილი არის მკაფიოდ განსხვავებული ფორმის;

6. რამდენიმე გამონაკლისის გარდა ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქართული დაქტილური ანბანი არ იმეორებს სხვა ანბანის დაქტილებს. თითოეულ კონკტერულ შემთხვევაში ამას აქვს სათანადო საფუძველი. მაგალითად, იმავე მნიშვნელობითა არის დატოვებული პირველი ასო ა, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, ყრუთა ერთიანობის გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც აქვს.

ქართული ანბანის 33 დაქტილიდან 24 არის სრული კოპირების, ხოლო ოთხი კი ნაწილობრივი კოპირების მქონე დაქტილი. შვიდი დაქტილი არის იდეოგრამული და აქედან ორი იმავდროულად არის კოპირებადიც.




ანბანის ეს პირველი ასო, თემის მოთხოვნით, დარჩა თითქმის იმავე ფორმით, განიცადა ოდნავი სახეცვლილება. მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა – ხელისგულის იმ ნაწილის ფორმა, რომელსაც არ ფარავს მოკეცილი ოთხი თითი.

ამ დაქტილის ძველი ფორმით დატოვებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ეს პირველი ასო ბევრ ჟესტურ ენაში არის იგივე და არის

გარკვეული სიმბოლოც ანბანისა. ენათა ნაციონალიზაციის მიუხედავად, ბევრგან ეს ასო მაინც ასეთი ფორმით დარჩა. საამისოდ ქართულს უფრო მეტი საფუძველი აქვს, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა.

ეს ჩვენეული ალტერნატიული ვარიანტი არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული ოდნავ მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი და ოდნავ მოხრილი, განზე გასული ცერი იმეორებს ასო ან-ის გრაფიკას.



ბ

არის დახურული ფორმის, ძველი ანბანის დაქტილი, რომელიც ქართული ბ-ს მოხაზულობას იმეორებს. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. შუა და საჩვენებელი თითები შესაბამისი გრაფემის ზედა ნაწილს გამოსახავენ. ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული სწორად მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი, ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს და იმეორებს ასო ბან-ის ხელნაწერ გრაფიკას.



ბ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს წრეს და დაქტილი იმეორებს ასო გან-ის გრაფიკას.

ღ



არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შუა და საჩვენებელი თითები კრავენ წრეს, ხოლო ნეკი და არათითი შესაბამისი ქართული გრაფემის ქვედა ნაწილს გამოსახავენ. დაქტილი მეტნაკლებად იმეორებს მხედრული ასო დონ-ის გრაფიკას.

ა



არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მიტყუპებული ოთხი თითი და განზე განეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ენ-ის გრაფიკას.

ბ




არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი მოხრილი თითი ხაზავს ღია წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ვინ-ის გრაფიკას.

გ



არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილი საჩვენებელი თითი კრავს ზედა წრეს, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს ქვედა წრეს და დაქტილი იმეორებს ასო ზენ-ის გრაფიკას.




არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ. ცერათითი ეხება სწორად გაშვებულ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. დაქტილი იმეორებს ასო თან-ის გრაფიკას: ნაწილობრივ მხედრულის, ნაწილობრივ კი ასომთავრულის მოხაზულობას. ეს დაქტილი გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ანბანი მთლიანად იმეორებდა რუსულ ანბანს და მხოლოდ რამდენიმე ახალი დაქტილი იყო – იმ ბგერათა შესატყვისი დაქტილები, რომლებიც რუსულში არ გვხვდება. ასეთი იყო თ დაქტილიც. ჩვენი შეხედულებით, ეს სწორად შექმნილი ფორმაა ამ ბგერისთვის და ახალ ანბანს კარგად შეესაბამება.




არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, მიტყუპებული და ოდნავ მოხრილი ოთხი თითითა და განზე გამოწეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ინ-ის გრაფიკას. წარმოდგენილი დაქტილემა არის რთული დინამიკის და ამიტომ ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც:

ეს არის საჩვენებელი თითით გამოსახული ჰორიზონტალური ხაზი, რომლითაც ხშირად აისახება 'ინ' ასო ხელნაწერ ვარიანტებში. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.



კ



არის დახურული ფორმის, შერეული ტიპის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხენივ, ზემოთ აღმართული სწორი ცერი თითი შეკრულ მუშტთან. ერთი მხრივ, ეს არის მინიშნებადი, სიტყვიდან – ‘კარგი’, მეორე მხრივ, დაქტილი ნაწილობრივ კოპირებადია და იმეორებს ქართული ასომთავრული ანბანის ასო კან-ის მოხაზულობას (ქვედა ფეხის გარეშე).

ქ



არის ღია ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და საჩვენებელი თითები გადმოსცემენ შესაბამისი გრაფემის ქვედა ნაწილის ამსახველ ფორმას და გაშლილია სამი თითი – ბეჭდური ლას-ის სამი კბილის დარად.

მ



არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და მოხრილი საჩვენებელი თითით წარმოდგენილია კოპირებადი მ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.

ნ



არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია მარცხნივ შეკრული მუშტითა და განზე განეული ოდნავ მოხრილი ნეკით. აქ გვაქვს კოპირებადი დაქტილიც და მინიშნებაც სიტყვაზე ‘ნეკი’.


ო



არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით გამოსახულია არაბეჭდური, ხელნაწერი ვარიანტის მხედრული ანბანის ასო ონ-ის კოპირებადი დაქტილი. შუათითი, არათითი და ნეკი მუშტადაა შეკრული. იგივე დაქტილი შეიძლება ასეც იყოს წარმოდგენილი:

აქ საჩვენებელ თითთან ერთად გაშლილი და აღმართულია შუათითი, არათითი და ნეკიც. ფაქტობრივად იგივე ფორმაა გადმოცემული.

ო



ჰ



არის დახურული ფორმის სიტყვა 'პირჯვარზე' მინიშნებადი დაქტილი. თითები მომზადებულია პირჯვრის გადასაწერად. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ერთადშეკრული სამი თითით მართლმადიდებლური რიტუალური სამების ფორმაა გამოსახული, ნეკი და არათითი კი ჩაკეცილია და ხელისგულს ეხება.

ჟ



არის ღია ფორმის დაქტილი ხელისგული მიმართულია პირდაპირ. ყველა თითი ნერვიულად მოკეცილია თანაბრად – მოხრილია მეორე სახსარში, გარკვეული ემოციურ-სენსიტიური პოზით თითები ღია ბრტყელ წრეს ხაზავენ.

იგივე დაქტილი შეიძლება შემოტრიალებული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი:

ჟ



რ

არის დახურული ფორმის ნაწილობრივი კოპირების დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და შუა თითი კრავენ წრეს და გაშლილია დანარჩენი სამი თითი. თემის შეხედულებით, ეს დაქტილმა მოაგავს შესაბამის ქართულ გრაფემას.

ს

არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შეკრული მუშტის ფონზე ზემოთ აწეული, გამართული, ახლოს განლაგებული საჩვენებელი და ცერი თითებით დაქტილი იმეორებს ასო სან-ის გრაფიკას სარკისებური ასიმეტრიით.

ტ

არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე განეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი გადაჯვარედინებულია საჩვენებელ თითზე და ამ სამი თითით მოცემული კოპირებადი დაქტილი იმეორებს მხედრული ანბანის ასო ტან-ის გრაფიკას.


**ტ**

ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც, როდესაც ყველა თითი გაშლილია და ეს უკანასკნელი უფრო მისაღები ფორმაა, როგორც კოპირებადი დაქტილი.

**უ**

არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი შეტყუპებული თითი და ცერა თითი ნაპრალს ქმნიან.

ფ



არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი მარცხნივაა გაშვებული და ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს. ეს დაქტილიც გადმოტანილია ძველი ქართული ყესტური ანბანიდან.


ქ




არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. მეორე სახსარში ერთად მოხრილი შუათითი, ნეკი და არათითი, ამის ფონზე ზემოთ აწეული საჩვენებელი თითი და ოდნავ მოხრილი ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ქანის გრაფიკას. ეს დაქტილიც გადმოტანილია

ძველი ქართული ანბანიდან. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოდნავი სხვაობითაც, კერძოდ, საჩვენებელი თითია მოხრილი, ხოლო შუათითი, არათითი და ნეკი გამართულია:

ქ



ღ



არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. მოხრილი საჩვენებელი და შუა თითები ამ გრაფემის ზედა ნაწილს წარმოდგენს, ხოლო დანარჩენი სამი თითით გამოცემულია გრაფემის ქვედა ნაწილი.

ყ



წარმოდგენილია კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. განზე გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითებით კი იკვრება მუშტი.

ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის შერეული ტიპის დაქტილი, სადაც ხელისგული მიმართულია პირდაპირ. გაშლილი და ზეაღმართულია საჩვენებელი და ნეკი თითები, ხოლო ცერი, შუათითი და არათითი მუშტადაა შეკრული. როგორც კოპირებადი ფორმა, დაქტილი იმეორებს ასო ყარ-ის გრაფიკას როგორც მხედრულის, ასევე ასომთავრულის. ეს დაქტილი მინიშნებადიცაა სიტყვაზე 'ყურები' და ფორმით დაცქვეტილ ყურებს მოგვაგონებს.

ყ



უ




არის დახურული ფორმის დაქტილი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ოდნავ მოხრილი და აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები. დანარჩენი თითები კი კრავენ მუშტს. იქმნება კოპირებადი შ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.

ჩ



არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე განეულია ცერი თითი, ხოლო საჩვენებელი თითი წრეს კრავს შუა თითთან და გადმოცემულია ქართული

მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკა. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასეც:



აქ ცერი და საჩვენებელი თითებით იგივე ფორმაა მოხაზული, მაგრამ სამი – თითი შუა, არათითი და ნეკი ყველა გაშლილია თანაბრად.

რ



ც

ც არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე განეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი საჩვენებელ თითზე წინ არის წანეული და ამ სამი თითით მოცემული. კოპირებადი დაქტილი იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას, ამასთან ეს არის ტრადიციული ქართული ცეკვის ქალის პარტიის ხელის კონფიგურაცია.



ძ

არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ. სწორად ზეაღმართულია საჩვენებელი თითი. დანარჩენი თითები კრავენ წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ძილ-ის გრაფიკას. ეს დაქტილიც მცირედი ცვლილებებით გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან.




ნ

არის დახურული ფორმის დაქტილი, რომელიც ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას იმეორებს. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. სწორად ზეაღმართულია ნეკი და არათითი. დანარჩენი თითები კრავენ მუშტს.

ჭ


არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. თითები ოდნავ მოხრილია და ღია წრეს ხაზავენ, ზემოთაა ამონეული მოხრილი შუა თითი. დაქტილი იმეორებს ასო ქარის გრაფიკას.

ხ

არის ღია ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთად მიტყუპებული თითებით პირდაპირი მინიშნებაა სიტყვაზე 'ხელი'.


ჯ

არის დახურული ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, საჩვენებელი და შუა თითები გამოსახავენ მინიშნებას სიტყვაზე 'ჯვარი'. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული. ხელისგული წინაა მიმართული.

კ

არის ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. აქ ასახულია შესაბამისი გრაფემის სამი კალთა. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი, საჩვენებელი და შუა თითი განზე განეულია, დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.

ქართული დაქტილური ანბანი



ახალ ანბანთან დაკავშირებით შესაბამისად შეიცვლება დაქტილურ ნიშნობების სიტყვა-ფესტებიც და ეს პროცესი აისახება მხოლოდ ლექსიკურ დონეზე.

ახალი ანბანის დანერგვას ყოველთვის აქვს მოსალოდნელი წინააღმდეგობები, მაგრამ ეს ანბანი შემუშავდა ყრუთა თემთან ერთად და

ამდენად, იგი თავს მოხვეული არ არის. საერთოდ, ნებისმიერი ახალი ანბანის დამკვიდრებას ახალი თაობები სჭირდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ პირველი აუცილებელი ნაბიჯი გადავდგით და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ინიციატივა შესაბამის მხარდაჭერას პოვებს განათლების სისტემაში, როგორც ეროვნული ინიციატივა. ასეთი პროცესი, როგორცაა დამოუკიდებელი ანბანის შექმნა, ძალზე ბუნებრივია ჟესტურ ენათა რეინტეგრაციისა და მათი ნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესში. სამეტყველო ენა გვაქვს – 5 ათასზე მეტი, მაგრამ ანბანთა რაოდენობა განუზომლად მცირეა. ჟესტურ ენებში კი 40 ანბანია. საკუთარი დაქტილური ანბანი აქვთ იმ ხალხებსაც კი, რომელთაც თავიანთი განსხვავებული ანუ საკუთარი გრაფემული ანბანი არა აქვთ სამეტყველო ენებში (ამერიკული, ბრიტანული, ფრანგული და ა.შ.) ამის ფონზე, ცხადია, ქართული ანბანი ნამდვილად იმსახურებს დაქტილური ვარიანტის შექმნას. ხოლო ამ ანბანის დანერგვა და გადაზრება ეროვნულ-კულტურულ ღირებულებად და მისი გათავისება (თუ გნებავთ, კორექტირებაც) უკვე დროის საკითხია.

ზემოთ წარმოდგენილი დაქტილური ანბანი არის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი დაქტილური ვერსია იმ სამწერლობო ქართული ანბანისა, რომელსაც არ სჭირდება ჩემგან დამატებითი ქება-დიდება. იმედს ვიტოვებ, რომ განათლების სისტემაში მომუშავე ჩინოვნიკები სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან ქართულ დაქტილურ ანბანს და შეიტანენ მას ყრუთა სკოლებში, რითიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ყრუთა სასწავლო პროცესი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მე მაქვს სრული ღიაობა ნებისმიერი ფორმატის აკადემიური მსჯელობებისათვის ამ ანბანთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

Andersson, Yerker 1994. Deaf people as a linguistic minority. In: Ahlgren, Inger and Hyltenstam, Kenneth (eds.), *Bilingualism in Deaf Education*. (International Studies on SignLanguage and Communication of the Deaf, 27) Hamburg: Signum. 9.13.

ბატატუნაშვილი, ამირანი. მოლაპარაკე ხელები. ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ("The talking hands" Dictionary of Georgian Sign Language) Tbilisi. 2008

Базоев, Владимир. Паленный, Виктор. *Человек из мира тишины*. A man from the world of silence. «Академкнига» Москва. 2002 (gv. 61)

Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture*. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991

Davidenko, Tatiana, and Komarova, Ana.. Краткий очерк по лингвистике РЖЯ. (A short article about Russian Sign Language) В „Современные аспекты жестового языка“. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006 pp.146-161

Dennis Cokely, Charlotte Baker-Shenk, *American Sign Language. A Teacher's Resource Text on Curriculum, methods and Evaluation*. Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980

Elaine Costello. *American Sign language Dictionary*. Random House Webster's. NY. 1994

Geilman I.F. *Gesture languages of Friendship*. Volume II. Saint-Petersburg. 2003

Geilman I.F. *Дактилология*. Ленинград. 1981

Gregory, Susan 1992. The language and culture of deaf people: Implications for education. *Language and Education* 6: 183-197.

Kendon, Adam. (1994) "Human Gestures" In K.R. Gibson and T. Ingold (eds) *Tools, Language and Cognition in Human Evolution*. Cambridge: Cambridge University Press. 1994

მახაროზლიძე თ. (2012) ჟესტური ენები. ქართული ენის ინსტიტუტის შრომები №2 თსუ. 2012.

Словарь *Русского жестового языка*. Авторский коллектив: Базоев В. З. Гаврилова Г.Н. Егорова И.А. Ежова В.В. Давыденко Т.П. Чаушьян Н.А. Москва. Изд. «Флинта» 2009

Современные аспекты жестового языка. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006

Зайцева Г. Л. Жестовая речь. Дактилология. Москва. Владос. 2004

ქართული დაქტილური ანბანი (რეზიუმე)

საბჭოთა პერიოდში ამ სივრცეში მყოფი უესტური ენები განიცდიდნენ რუსულის გავლენას და ძველი ქართული დაქტილური ანბანიც მთლიანად რუსულზე იყო დაფუძნებული, მხოლოდ რამდენიმე ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დაქტილი იყო ჩამატებული.

ახალი ქართული დაქტილური ანბანის შექმნის იდეა მომდინარეობს ადგილობრივი ყრუთა თემიდან და მე წილად მხვდა პატივი, რომ მათთან ერთად მემუშავა ამ პროექტზე. ისეთი ახალი ანბანის შექმნა, რომელიც ქართულ დამწერლობაზე იქნებოდა დაფუძნებული, იყო სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური მოვლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე უესტურ ენათა რეინტეგრაციისა და ენათა ნაციონალიზაციის პროცესში.

ნაშრომში წარმოდგენილია ჩვენი სამუშაოს შედეგები: ერთხელისანი იოლი დინამიკის მქონე ახალი ქართული დაქტილური ანბანი. ეს არის შერეული ტიპის ანბანი დამუშავების მიხედვით და აღნიშვნის მიხედვით არის ასოებითი (არა სილაბური).

სტატიაში მოცემულია შესაბამისი თეორიული ბაზა და ძირითადი პრინციპები დაქტილური ანბანის შექმნისათვის. ჩამოყალიბებულია დაქტილირების 10 წესი.

